სახალხო გაზეთი

№ 1167 კვირა, 20 აპრილი 1914 წ. № 1167

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

ტფილისი

კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ თანახმად ბანკის აქციონერთა დამფუძნებელ კრების გადაწყვეტილებისა,

ბანკი დაარსდება ქალაქ ტფილისში და მისი განყოფილება ქ. ბაქოში (განყოფილებანი სხვა ქალაქებში შემდეგ გაიხსნება),

თითო აქცია ეღირება **250** მან. და წინასწარ უნდა იქნას შემოტანილი ყოველ აქციაზე **26** მან.

ხელის-მოწერა აქციებზე დანიშნულია აპრილის 21-დან 30-მდე ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდის.

ტფილისში—სამეურნეო ბანკში (სასახლის ქუჩა, სახ. სარაჯიშვილისა) ბანკის თავმჯდ. დ. ე. ჩოლოყაშვილთან, ს. ილ. ფორაქაშვილთან და პ. ალ. გოთუასთან. **ქუთაისში**—საურთიერთო ნდობის ბანკში დირექტ. რ. ყ. დათეშიძესთან და ი. გ. კომულარიასთან. **სოხუმში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, თავმჯდომარე ნ. ყ. თავდგირიძესთან. **თელავში**—საზოგად. „კახეთის" კანტორაში, ალ. რ. ვახვახიშვილთან. **ჭიათურაში**—საურთ. ნდობის ბანკში, კ. გრიგოლაშვილთან. **ბათომში**—საურთ. ნდობის ბანკში, ნ. ა. საბაშვილთან და ბანკის თავმჯდომარე ს. მდივანთან. **ბაქოში**—ნავთის მრეწველის ნ. ი. ჯაყელის კანტორაში, ნ. ი. ჯაყელთან, იოსებ ი. და დიანთან და ლ. ქ. მამულაიშვილთან. **ქამქამში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, ბანკის გამგე ი. მ. ლორთქიფანიძესთან. **სიღნაღში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, კ. ჯაფარიძესა და კ. ტყავაძესთან. **გორში**—საურთ. ნდობის ბანკში, მ. სოლოლაშვილსა და ლ. მაჭავარიანთან. **ყვირილაში**—საურთ. ნდობის ბანკში, თავმჯ. კ. გიგინეიშვილთან. **ფოთში**—საურთ. ნდობ. ბანკში, ბირჟის კომიტეტის თავმჯ. ა. ლ. ქავთარაძესა და ნ. ი. ნიკოლაძესთან. **ყარელში**—ი. ელენტის აფთიაქში. **ხონში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, გამგეობის თავმჯდომარე ბ. ბახტაძესთან. **სამტრედიაში**—საურთიერთო ნდობის ბანკში, გამგეობის თავმჯდომარე გ. სტურუასთან. **ერივანში**—დ. ზ სარაჯიშვილის კანტორაში, ვ. გ. ამილახვართან. **დუშეთში**—ვლადიმერ ახალშენიშვილთან. **სენაკში**—გ. ქავთარაძესთან. **ზუგდიდში**—საურთიერთო ნდობის ბანკში ბ. კარტოზიასთან.

ვისაც აქციების შეძენა ჰსურს, ხელი უნდა მოაწეროს დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილებში და მიიღოს კომიტეტისაგან შესაფერი ორდერი, რომელთან ერთად **უნდა წარადგინოს თითო აქციაზე 26 მან. ტფილის. სახელმწიფო ბანკის კანტორაში** (სხვა ქალაქებში სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში ან ხაზინაში—ტფილისის სახელმწიფო ბანკის კანტორაში გამოსაგზავნად), სადაც კომიტეტის სახელზედ გახსნილია ცალკე მიმდინარე ანგარიში, სავაჭრო სამრეწველო ბანკისთვის წინასწარ შემოსატანი ფულის მისაღებად.

ვინც აქციებზე უკვე მოაწერა ხელი, დანიშნულ ვადაზე უსათუოდ უნდა კომიტეტისაგან ორდერი მიიღონ და ფული სახელმწიფო ბანკში ან ხაზინაში შეიტანონ, წინააღმდეგ შემთხვევაში აქციები დაეთმობათ იმ პირთ, ვისაც ხელი ჯერ არ მოუწერიათ.

ბანკის დამფუძნებელნი:

1. მანსვეტაშვილი ი. ა., ნავთის მწარმოებელი
2. თუმანიშვილი თ-დი ლ. ალ., გამგე გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის ნავთის წარმოებისა
3. ბოსტაგანიშვილი ა. ი., ვაჭარი
4. მამულაიშვილი ლ. ა., ბაქოს ნოტარიუსი
5. კვიზრელი კოპაძე ი. ნ., ვაჭარი
6. ძეგველოვი ალ. მ., თევზის მრეწველი.
7. წერეთელი სამ. მ., შავი-ქვის მწარმოებელი
8. გოკიელი პ. ი., ვაჭარი
9. ჯაყელი ნ. ი., ნავთის მწარმოებელი
10. მუხთაროვი მურტუზა აღა ნავთის მწარმოებელი
11. ხოშტარია ა. მ., ხე-ტყის მწარმოებელი
12. ფორაქაშვილი ს. ი., ვაჭარი
13. სესიაშვილი ნიკ. მ. ვაჭარი
14. სვანიშვილი ი. ზაალ. შავი ქვის მწარმ.
15. ზარაბაძე ნ. ს. ვაჭარი
16. იაკობიშვილი შ. შ., ვაჭარი
17. საბაშვილი ნ. ა, ვაჭარი
18. რიჟინაშვილი რ. ელ., ვაჭარი
19. ქავთარაძე ა. ლ. ფოთის საბირჟო კომიტ. თავმჯდომარე.
20. ხარაშვილი ილია მიხ., ვაჭარი.

მისამართი მთავარი ბიუროსი:
ტფილისი, სამეურნეო ბანკში.

კავკასიის სავაჭრო სამრეწველო ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი. 1134

ფულის გამო ზავნა ფოსტით შეიძლება ამ ადრესით: Тифлисъ, Общество сельско-хов. кредита предсѣдателю правленія Кн. Димитрію Эрастовичу Челокаеву.

ქართველთა შორ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ **კვირას, 20 აპრილს, მამადავითის ეკლესიაში**

დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის

დაბადებიდან ასის წლის თავის აღსანიშნავად გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 1158

ეკატერინე იოსების ასული ელისაშვილი, ნინო, თამარ, ბარბარე ილარიონის ასულნი, იოსებ ილარიონის ძე ელისაშვილები და დისწული ნადეჟდა მამაცაშვილი ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 16 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის—საყვარელი ძმა, მეორეთა—ძვირფასი და დაუვიწყარი მამა, და მესამესი—ძვირფასი ბიძა

ილარიონ იოსების ძე ელისაშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე დილის 11 საათზე და საღამოს 7 საათზე. მიცვალებულს გაასვენებენ 20 აპრილს ავლაბრის წმ. მარინეს ეკლესიაში დილის 9 საათზე (პეტრე დიდის ქუჩა, № 26, საკუთარი სახლი).

ქართული თეატრი

ორშაბათს, 21 აპრილს, 1914 წ. გაიმართება ბ. მ. იანქოშვილის მიერ იშვიათი და საინტერესო საღამო შემდეგის პროგრამით:

I

ბ. მ. იანქოშვილის მიერ წაკითხულ იქმნება ლექცია მავთულიან და უმავთულო ტელეგრაფის შესახებ, ზოგიერთ მანქანათა აღსნა-ჩვენებით. სიგნალიზაციაში მონაწილეობას მიიღებს საზოგადოებაც.

II

პირველად წარმოდგენილი იქმნება ახალი ორიგინალური ტრანსფორმატიული კომედია, რომლის მაგვარიც ქართულ ენაზედ ჯერ არა ყოფილა

„გაჭირვებული ადვოკატი"

თხზ. მ. იანქოშვილისა. მომქმედი პირია ცხრა კაცი, ხოლო ყველა ამ პირების როლებს შეასრულებს ერთი პირი.

III

1) დეკლამაცია, 2) სცენები, 3) უსიტყვო სცენები, 4) საიდუმლო მუსიკა, 5) უძნელესი მუსიკა ანუ ლეკური ზურგზედ ცეკვით.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. 1138

ტელეფ. ქართული თეატრი **№ 795.**

კვირას, 20 აპრილს, 1914 წ., ქართ. დრამ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი პიესა

ოტელო,

ტრაგედია 5 მოქ. შექსპირისა, თარგმანი ი. მაჩაბლისა.
მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყ. საღ. რვა-ნახევარ საათ. ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
1138 რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმ. ქარ. დრ. საზ.

ახლად გაიხსნა

სასტუმრო სასადილო

„სინათლე"

საუცხოვო ახალ-ახალი სანოვაგე. ცოცხალი თევზი. სტუმრებისადმი ზრდილობიანად მოპყრობა. ნადიმის გაგრძელება ღამის ორ საათამდის. ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქუჩა.

ყოფილი „სიცილია" და „არარატი"

1077 პატ. ცამით ძმ. ხელაშვილები იგივე „ქოსები".

დაიბეჭდა და იყიდება

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების გამოცემა

ი. გრიშაშვილი

წიგნში მოთავსებულია დღემდე დაწერილ-დაბეჭდილი ყველა ლექსი.
ფასი ერთი მანეთი

ტფილისში წიგნი იყიდება—ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში, (სასახ. ქუჩა) და კინაძის სავაჭროში (სახაზინო თეატრის პირდაპირ). საწყობი გრ. რცხილაძესთან, ოლღას შესახვ. № 5. 1141

ელექტრონის, რენტგენის, სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1094

ავლაბრის სახალხო თეატრი

კვირას, 20 აპრილს, 1914 წ.

ავლაბრის ქართ. სახალხო წარმოდგენების მმართველ წრის მიერ მსახიობ **ი. ივანიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I **სიმე-სიმამრი,** კომედია 3 მოქ. ვ. გუნიასი.

II **ბაიყუში,** კომედია 2 მოქ. ი. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ✦ ადგილების ფასები 50 კ. 10 კ.-დე.
263 რეჟისორი **ი. ივანიძე.** მორიგი გამგე **გ. ბასილაშვილი.**

ტფილისის ქალაქის ლომბარდი

გაცემულ სესხზე ღებულობს **წელიწადში მხოლოდ 11%,** აქ შედის შენახვისა და დაზღვევის ხარჯიც.

ლომბარდში მუშაობა სწარმოებს დილის 9 ს. ნაშუადღევის 3 ს-მდე.

სესხს, **რაოდენობის მიუხედავად, დაუბრკოლებლად** აძლევენ.

გამოსყიდულს გირაოს **დაუყოვნებლივ** უბრუნებენ.

მაისის გასულს ლომბარდი გადადის მელიქ-აზარიანცის სახლში, ოლღას ქუჩაზე, ვერის დაღმართთან. 1150

ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდზე, ვაგზლის ქუჩა, № 8. ტელეფონი 695)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათიდან 3 საათამდე.

ნათიშვილი—ვენერიული და კანის ავადმყოფ. 10—11 ს.

მინასოვი—ქირურგი, 11—12 საათამდე.

პაპოვი—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი 11—11$\frac{1}{2}$ საათამდე.

ციციშვილი—შინაგანი და ნერვების 12—1 საათამდე.

ექ. ქალი იოსელიანი—ქალური ავადმყოფობანი, კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით 11—11$\frac{1}{2}$ ს.

სამხედრო ექ. კლდიაშვილი—შინაგანი და ბავშვების სნეულებ. 12—1 ს.

ვაშაკიძე—შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, საღამოს 6—7 საათამდე.

ყვავილის აცრა, ძიძათ შემოწმება და სხვ.

რჩევის საფასური—50 კაპ.

წამლობა „914" და „606". 1023

გამგეობა ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა აუწყებს ქართველ საზოგადოებას, რომ დღეს, 20 აპრილს, სასიქადულო მამულიშვილის

დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანის

დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო მამადავითის ეკლესიაზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. 1168

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წინამძღოლთა და დეპუტატთა საკრებულო იუწყება, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლად ნამყოფ

დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანის

დაბადებიდან ასის წლის შესრულების გამო, გადახდილი იქმნება პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად მის საფლავზედ, მამადავითის ეკლესიის ეზოში, კვირას, ოც ამა აპრილს, შუადღის 12 საათზედ.

დები მარიამი ბერიშვილისა შვილებით, დარია კარბელაშვილისა მეუღლითურთ, ანასტასია და სოფიო ლომიძეები გულითად მადლობას უხდიან ყველას, ვინც პირადად ანუ წერილობით პატივი სცა მათ საყვარელი და ძვირფასი ძმის

ტარასი პორფირის ძე ლომიძის

გარდაცვალების გამო. 270

ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სახლში

სამშაბათს, 22 აპრილს, 1914 წელს, **სოსო რომანიშვილის** ათი წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქნება: **ქ-ნი ნ. დავითაშვილის და ბ-ნი მ. იმედაშვილის** მონაწილეობით

1

ხელოსანი კრემონიდგან

კომ. 1 მ. ფრ. კოპპე თარგ. რომანიშვილისა.

2

შეშლილები

პიესა რამიშვილისა. მხოლოდ მეორე მოქმედება.

3

ქ-ნი ჩერქეზიშვილის მონაწილეობით

სიმართლე

შარჟი 1 მოქ. მ. ლიბერმანისა თარგ. მ. ქორელის

ადგილების ფასი 5 კ-დან 1 მ. და 50 კ-მდე.

რეჟისორი **ალ. წუწუნავა**. სახ. წარმ. მმართ. წრის ადმინისტრაცია. 1156.

დიდი ცირკი ფ. ა. იუპატოვისა

მიხეილის პროსპექტზე, მუშტაიდთან.

დღეს, 20 აპრილს, გაიმართება

2 დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

საღამოთი უდიდესი დღესასწაული საცირკო მხიარულებისა, ცირკის საუკეთესო ძალთა მონაწილეობით. დღეს საღამოთი ცნობილი ყოველდღიურ პროგრამის ექსცენტრიკოსი ბ. ბ. როზელტები შეასრულებენ აურებელ ახალ №№-ს. როზელტებზე უკვე მთელი ტფილისი ლაპარაკობს. დღეს საღამოთი სალონის დამსახურებული ჟონგლერი ბ-ნი კანკოვსკები, რომელნიც მისი უმაღლესობის წინაშეც გამოსულან, შეასრულებენ ახალ ტრიუკებს. განთქმული „ელვის კაცები", ჯამბაზი როსინის ოჯახობა შეასრულებენ წარმოუდგენელს არაბულსა სარტა-მარტალეზს. დღეს საღამოთი დაჯილდოვებული მშვენიერი ქ-ნი ელენე იუპატოვისა საუცხოვოდ გაწვრთნილ უზელო კვიცით გამოვა. დღეს საღამოთი დიდი ბალეტი **თეთრთმაქცის** ფეერია. საზოგადოების ხელის შესაწყობად ცირკის კასა დღით ღიაა ნაშუადღევის 2 საათიდან. დღეს დღისით დიდი საბავშვო დღესასწაული და წარმოდგენა ბ-ნთ როსინების, როზელტის, ბ. ბ. კანკოვსკების და მრავალ სხვათა მონაწილეობით. დღისით ბავშვებს უფასოდ ასეირნებენ პონებით. ადგილების ფასი დღისით დაკლებულია. დასაწყისი დღის წარმოდგენისა ნაშუადღევის 2 საათზე. დღისით ცირკის დირექცია უფასოდ ეპატიჟება ყველა თავშესაფართა ბავშვებს. დღეს კონტრამარკებს ძალა არა აქვს.

ცირკის დირექტორი **ფ. ა. იუპატოვი**. გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. 257

ამხ. „ანკარა"-ს რძე

იყიდება ტფილისში:

1) ბ. ზღუდაძის სავაჭროში, გოლოვინის პროსპ. № 6
2) **ბ. კაციტაძის** „ სუდებნი ქუჩ. № 6
3) **ბ. მამამთავრიშვილის** „ მიხეილის პროსპ. № 25.
4) **ბ. დარახველიძის** „ ნეკრასოვის ქუჩა № 18.
5) **ბ. მერამგულიანცის** „ პურის მოედანზედ № 1.
6) **„არშალუისის"** „ იქვე, ნორაშენის შესახვევში.

ამხ. მერძეობა დილომშია ი. გ. ჯაბადარის კარმიდამოზედ. მისამართი ტფილისში: ერევნის მოედანზედ **„ვოლგას"** ბინაზე, თოიძეს. 268

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა) განყოფილებებით.

კუთხე სობორის და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე გარდა ქვირისა.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი მ. მ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფ. ყოველ დღე 1—2 ს.-დე.

ბინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული, ცალკე ოთახი 4 მ.-დან.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა **წამლობა „606", „914".** 1088

გაიხსნა **საქალაქო ვერის პარკი** გაიხსნა

პირველ-ხარისხოვანი

რესტორანი ნ. ი. ქინქარაძისა,

ტელეფ. № 14—66

ნავებით ცურაობა.

ყოველ დღე

სადილობისა და ვახშმობის დროს დილის 10 საათიდან ღამის 2 საათამდე უკრავს

საკონცერტო

სიმებიანი ორკესტრი, სალონის ორკესტრი, საუკეთესო სოლისტების მონაწილეობით და ცნობილ სკრიპკის დამკვრელ თავისუფ. მხატვარ **ლ. სტუპელის** ხელმძღვანელობით.

სადილი:
(2 თავიდან 60 კ.
(3 თავიდან 90 კ.
(4 თ.-დან 1 მ. 20 კ.

იშოვება ყოველგვარი საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი სასმელები. 1169

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალ. სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 23 აპრილს, გაიმართება

სალიტერატურო დილა

I განყ.

ბ-ნი სამ. დადიანი წაიკითხავს ლექციას: „საზოგადოებრივი აზრები მე-19 საუკ. ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში ა. წერეთელი და რ. ერისთავი".

II განყ.

გაიმართება კამათი ქართულ თეატრის შესახებ. საკამათოდ მოწვეულნი არიან: ბ-ნნი **ივ. გომართელი, გ. გორდეზიანი, იპ. ვართაგავა, კ. აბაშიძე, არ. ჯაჯანაშვილი, გ. ჟორდანია, ს. დადიანი, ივ. ჩერქეზიშვილი, შ. ქართველიშვილი, ი. გედევანიშვილი, მ. ქორელი, გ. შალიკაშვილი** და სხვანი. ბილეთები კასაში იყიდება. ფასი 5 კ—50 კაპეიკამდე. დასაწყისი დილის 12 საათზედ. დაწვრილებით პროგრამაში.

264 გამგე **ი. ივანიძე.**

სამანუფაქტურო მაღაზია 1028

მ. გ. აბაშიძისა

გადავიდა იმავე თამამშევის ქარვასლაში, ერევნის მოედანზე, სასახლის ქუჩის დასაწყისში, **სამხედრო შტაბის პირდაპირ,** **სადაც მიღებულია ყოველ-ნაირი ახალი საქონელი.** **ფასები ძლიერ ხელმისაწვდომად და შეუდარებლად.**

შაბათობით ნაჭრების დიდი იაფობა.

სანატორიუმი „რუსული დავოსი",

აბასთუმანში.

გულსუსტებისა, სისხლ-ნაკლებთა, დაქანცულთა და ფილტვების სნეულებით ახლად დაავადებულთათვის. საუცხოვო განმარტოვებული მზიანი, უქარო ადგილი ფიჭვნარიან ტყეში. სანატორიუმთან მოწყობილია საკუთარი რენტგენის კაბინეტი. ყველა თანამედროვე ფიზიკური წამლობა, ჰიგიენა-დიეტაზე დამყარებული, სპეციფიური წამლობა ტუბერკულინით, ხელოვნური პნევმოტორაქსი და ტყირპის წამლობა რენტგენის სხივებით. საკუთარი მეურნეობის ფერმა. სრულის პანსიონით სამკურნალო ხარჯ-მოვლით და სხვა თვეში 150—250 მ. ◆ დაწვრილებითი ცნობებისათვის მიჰმართეთ **სანატორიუმის დირექტორს ექიმს გ. მეგრაბიანცს, 1 მაისამდე** ქ. ტფილისში, ბებუთოვის ქ., № 23. 1 მაისის შემდეგ—აბასთუმანში. ზღვისზედაპირიდან 1273 მეტ. ტფ. ზუბ.

ტელეფონი № 7—92. 1087

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვიტცელის სასტუმროს ახლოს.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახებით განსაკუთრებით სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი გ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1 ს. **ფედოროვი ი. გ.** ყოველ დღე 11—12. **კიქალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**ვარქევიჩი მ. ლ.**, კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½ ს. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ზ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მირზიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ი.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულებ.	**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე 11—2. **კიქალაშვილი პ. ლ.** ყოვ.-დღე 1-ნახ.—2 ს.
ნერვიულ სნეულებ. და ელექტ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1 **ფონდოვი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირის.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი გ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული, ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. 1070

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. 1073

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე.**

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1084

ექიმი მ. ნ. მაზაკიანი გადავიდა ახალ ბინაზე, სოლოლაკში, ბებუთოვის ქ. № [illegible]8. **შინაგანი ბავშვთა სნეულებანი, სპეციალურად კუჭისა და ნაწლავების** ავადმყოფობანი. **ელექტროთერაპია** იღებს დილის 10—11 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ტელეფ. № 388. 1053

ექიმი გ. მუსხელიშვილი მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67

ექიმთა საზოგადოების

სამკურნალო

მუდმივ საწოლებით.

(მიხეილის შესახვევი № 49 და რეუტოვის ქუჩის შესახვევი № 2.

ტ ე ლ ე ფ. № 1026.

ავადმყოფების მიღება:

აზაჯანოვი მიხეილ — საშარდე, სიფილის. და კანის სნეულ. 11—12 ს.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგ., ნერვ. და სულის სნეულ., ელექტროთერაპია, 11—12 ს.-დე.

ელჩიევი მ. რ.—ყურ., ცხვირ. და ყელისა, 12—1 ს.

ელჩიევი ლ. რ.—ქალის სნეულ. და ბებიობა. 12—1 ს.

კიმონტი მ. პ.—სადოსტაქრო სნეულებანი 11—12 ს.

მაზაკიანი მ. ნ.—შინაგანი და ბავშვებ., სნეულ., სპეციალურად კუჭისა და ნაწლავ., 1-ნახ.—12-ნახევარ ს.

სამკურნალოში ჰწამლობენ ელექტრონით, მასაჟი, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა, ძიძების გასინჯვა. რჩევის ფასი 1 მან., ოპერაცია, კონსულტაცია, მორიგებით. სტაციონალური (საავადმყოფო) განყოფილება საერთო პალატისაგან შესდგება.

შეშხაპუნება „914", „606". 1040

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება: დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

გოროხოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

ვენუკოვი—ქირურგ. ავადმყ. ყოველ-დღე 11—12 ს.

შამაში, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

ასპიროვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ჩუდნოვსკი—ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ოსხლეთანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ. და კვ., 4—5 ს.

ზაგდოევი—კბილ. იღებს ყ.-დღე დილის 10—11 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1082

ქ. გორში (დოკტორანტი).

ექიმი მ. დ. წინამძღვრიშვილი

ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი **გულისა, ფილტ.** და **სისხლის** სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირ. 1050

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი

გ. გ. მეგრაბიანცი

იღებს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს, სწამლობს ფილტვებისა—ბლექი და გულის სნეულებათ. სპეციფიურად ბლექისათვის შეფარდებული წამლობა, ხელოვნურ. პნევმოტორ. განათება, ფილტვებისა და გულისა ფოტოგრაფიულად გადაღება და აგრეთვე ელვისებურ რენტგენის სხივებით გადაღება სხეულის სხვა ნაწილებისაც. ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამ. 5—7 ს.-დე.

კვირაობით დილ. 9—12 ს.-დე. **ღარიბების** წამლობა დილ. 9—10 ს.-დე. **უფასოდ.**

ბებუთოვის ქ., 23. **ტელეფ. № 7—92.** 1516

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და კანის ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 1080

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკებში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 1011

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს, ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ. № 8, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ს. გ. მამრაძე

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება (**ქალთა** და **სამშობ. სნეულებანი**).

ავადმყოფებს მიიღებს ნაშუადღევის 1—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ვერის დაღმართი სახლი № 5. ბინა 5. 1244.

ექიმი შ. ა. მიქელაძე მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 8—16

ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ 1914 წ. 24 აპრილს 1 საათზე მის საკრებულოში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ტფილისის საკრებულოს საზაფხულო ბინისა და ვერის ხიდის შუა მდებარე საქალაქო ადგილის

იჯარით გასაცემად,

სადაც აიგება პავილიონი საგრილობელ სასმელებისა და ყავისა.

პირობების გადათვალიერება შეიძლება ყოველ საქმის დღის დილის 10—3 საათამდე ქალაქის გამგეობის კანცელარიაში. 1170

ტფილისი, 20 აპრილი

დიმიტრი ყიფიანი.

კაცობრიობის ისტორიაში ზოგიერთი პიროვნება ყურადღებას ობიექტური შემოქმედებით იპყრობს: ის თავისი ნიჭით თუ გენიოსობით ამდიდრებს კულტურულ ღირებულებათა სალაროს: მოქალაქობრივი ცხოვრების სფეროს, მეცნიერებას, ხელოვნებას ან ლიტერატურას.

ასეთია გონების გმირები, ძლიერი და ნაყოფიერი ინტელექტის ადამიანები. მათ გვერდით ძლიერი ნებისყოფის, ძლიერი აქტის ადამიანები სდგანან, გრძნობის და მოქმედების გენიოსნი, რომელნიც თანამედროვეებზე და მომავალს თაობებზე მოქმედებენ არა თავისი ობიექტური მოღვაწეობით, არამედ თავისი ზნეობრივი პიროვნებით, თავისი მაღალითით, თავისი ხასიათით. დიმიტრი ყიფიანი ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის.

მას არ გაუმდიდრებია არც ჩვენი მწერლობა, არც ჩვენი მეცნიერება, მაგრამ ის ჩვენ თვალწინ ნათლად სდგას, როგორც ბრინჯაოსაგან ჩამოყალიბებული განსახიერება თავდადებისა, რაინდობისა და სიმტკიცისა. ეს მორალური თვისებები კი ერისათვის არა ნაკლებ ძვირფასია, ვიდრე გამოჩენილი ლიტერატურული ნაწარმოები ან მეცნიერული ტრაქტატი: მიტომ რომ ამაღლებული და კეთილშობილი ადამიანობის იდეაში შედის არა მარტო მშვენიერების და ჭეშმარიტების ძიება, არამედ მაღალი ზნეობაც.

ის რაც დიმიტრი ყიფიანმა თავის დროზე ჰქმნა დღეს შეიძლება ის-ტორიულ გმირობად არავის ჩაეთვალოს. მაგრამ ადამიანის ფასი და ღირსება უნდა გავზომოთ არა მარტო აბსოლუტური, არამედ ისტორიული თვალთსაზრისითაც. საზოგადოებრივი მოდუნების და ქედმოხრის ხანაში ყიფიანის ნაბიჯი დიდი სიმამაცე იყო, მისი ხმა—ეროვნული სინიდისის გამოხატულება, მისი პასუხი—შურისძიება შეურაცყოფილ ეროვნული თავმოყვარეობისა. არც კერძო პირს, არც სოციალურ ერთეულს არაფერი მოეპოვება თავმოყვარეობაზე უძვირფასესი. ეროვნული თავმოყვარეობის დაცვა და ისიც საკუთარი სისხლის ფასით ისეთი დიადი და ამაღლებული აქტია, რომ არასოდეს არ უნდა დაივიწყოს შთამომავლობამ.

ყოველი ინდივიდუალობა, რა გინდა დიდებული იყოს ის, განსაზღვრულია. განსაზღვრული იყო დიმიტრი ყიფიანიც.

წარმოშობით და აღზრდით არისტოკრატი იყო, რწმენით კონსერვატორი. მართალია, ის არ იყო ბატონ-ყმობის მომხრე, მაგრამ გლეხების განთავისუფლების დროს შებატონეების ინტერესებს იცავდ ამისთვის მისი გაკიცხვა ისევე უმა რთებულო იქნებოდა, როგორც უმა რთებულოა პლატონის ან არისტო ტელის გაკიცხვა იმისთვის, რომ ის ნი მონობას საზოგადოების აუც ლებელ საფუძვლად აღიარებდნენ.

დრო შლის და თან და თან მიაქ რაც წვრილმანია ან შემთხვევით ზნეობრივი ამაფრენის და სიმტ ცის ნაყოფი კი წაუშლელი რჩე თაობათა ხსოვნაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

მაჰმადიან ქართველების აღორძინება

გაზეთში ცნობა იყო დაბეჭდილი, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მთავარმა გამგეობამ და ქუთაისის განყოფილებამ გადასწყვიტეს ორი ქართული სკოლის გახსნა მაჰმადიან ქართველებისათვის —ქობულეთსა და აჭარაში. ეს დიდად სასიხარულო ამბავია და საჭიროა პატივცემული საზოგადოება მხნედ შეუდგეს თავის გადაწყვეტილების შესრულებას. ეს დიდი საქმეა. მაჰმადიან ქართველთა აღორძინება, გამოფხიზლება და საერო ცხოვრებაში ჩაბმა დიდი ეროვნული საკითხია, რომლის სასწრაფო გადაჭრას მონდომებული უნდა იყოს ყოველი შეგნებული ქართველი.

სასურველია, რომ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს მთელი ქართველობის ყურადღება მივაქციოთ, ეს უნდა გავხადოთ ნამდვილ სახალხო საქმედ, ამის აზრი უნდა მოეფინოს ფართო წრეებს და საქართველოს ყოველი კუთხიდან უნდა გამოეხმაურონ ამას. ჩვენი ერის თითქმის ერთი ნახევარი იღვიძებს, უბრუნდება დაკარგულს სამშობლოს, უერთდება დავიწყებულს ეროვნებას,—მოდის საყვარელ დედასთან და სწყურიან მასთან ერთად ჩაებას უღელში საერო ცხოვრების წინ წასაწევად, მშობელი ქვეყნის დასაცავად, დაცემული ვინაობის აღსადგენად.

ყოველი კუთხის მაჰმადიანი ქართველობა, ყოველი წრის და წოდების წევრი, ქალი და კაცი, ახალგაზდა და მოხუცი ერთხმად გაიძახის: ჩვენ თქვენი ღვიძლი ძმები ვართ, მამულის შვილები, რომელნიც დროებით ვიყავით მოწყვეტილნი დედის ძუძუს, რომლებიც ძალით მოგვაშორეს სამშობლოს კერას, მაგრამ სულით და გულით თქვენთან ვიყავით, ჩვენი სიყვარულის და ალერსის, ნაზის გრძნობის და ფიქრის ენა მხოლოდ ქართული იყო, ეხლა გვინდა, რომ ჩვენი და თქვენი ცხოვრება ერთი იყოს განწირული მამულის კეთილდღეობისა და აღდგენისათვის; გვინდა, რომ ჩვენს შორის იყოს სრული ერთობა, მოისპოს წინანდელი დაორება, უცხოობა, გავუწოდოთ ერთმანეთს ძმური ხელი და ვიყვნეთ ჩვენ თქვენთვის, თქვენ ჩვენთვის და ყველანი კი მამულისა და ერისათვის!

ასე გვეუბნებიან მაჰმადიანი ძმები, გვეუბნებიან სიყვარულით, ნდობით, გულგაშლილად. გვესმის მათგან სიტყვა, რომელსაც ვერ ვბედავდით გარკვევით ქრისტიანი ქართველები. ხმა მაღლა ამბობენ ჩვენი მაჰმადიანი ძმები: სარწმუნოება ჩვენი სხვა და სხვაა, მაგრამ ერთია ჩვენი ეროვნება, [illegible] და ხორ- წარსული, კულტურა, ერთია ჩვენი სამშობლო საქართველო, რომლის სიყვარული გვაერთებს ჩვენ განუკვეთელად, განუშორებლად, სამუდამოდ!

ასეთია ჩვენი ძმების სიტყვა, ასეთია მათი საქმეც. პატივცემულმა ლეონიდ ეპისკოპოსმა სთქვა: როდესაც ქობულეთში ჩავედი, ძლიერ დარცხვენილი ვიყავი, მეშინოდა, მერიდებოდა, ვაი თუ მაჰმადიან ქართველებს ეწყინოთ ჩემი იქ მისვლა როგორც სასულიერო პირისა, ვაი თუ შეურაცხყოფად მიიღონ ჩემი სტუმრობა, უნდობლად მომეპყრან, არც მომეკარონო. ასე შეშინებული მივუახლოვდი ქობულეთს, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, როცა მაჰმადიანები მომეგებნენ გასაკვირველის სიხარულით, სიყვარულით, უზომო პატივისცემით, იშვიათის სტუმართმოყვარეობით, ისეთით, როგორითაც არსად შემხვედრიან ქრისტიანი ქართველებიც; ყველანი გულ ახდილად, მეგობრულად მოვიდნენ ჩემთან, ძმურად და ნდობით მებაასეს და მელაპარაკეს.— ყველას გაგონილი აქვს, თუ რა კეთილი ამხანაგური განწყობილება აქვს ქობულეთის ხოჯას ადგილობრივ მღვდელთან. წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სკოლებისა და სამკითხველოების მეთვალყურემ მითხრა: მაჰმადიან ქართველის ოჯახში ვიყავი და არასოდეს არ დამავიწყდება, თუ რა ფრთხილად იქცეოდნენ, რომ ოდნავი წყენა არ მოეყენებინათ ჩემი სარწმუნოებრივი გრძნობისათვის...

ასე უყურებენ ჩვენი შეგნებული მაჰმადიანი ძმები სარწმუნოებას, რომელიც სრულებით არ უნდა ერეოდეს ჩვენი ძმობის და ერთობის საქმეში. სარწმუნოება სინდისის საკითხია, ჩვენ პატივს უნდა ვსცემდეთ ერთმანეთის სარწმუნოებას; ვისაც როგორც სწამდეს, ისე ილოცოს და ემსახუროს ღმერთს, მაგრამ ჩვენი ძმობა ამით არ შეირყევა; ჩვენ ერთნი ვართ, ერთი დედის შვილები, ერთი ძუძუ გვიწოვია და ერთის რძითა ვართ აღზრდილნი. ასე გვეუბნებიან მაჰმადიანი ძმები და ეს საუკეთესო თავმდებია იმის, რომ მათი გამოფხიზლება არის ჭეშმარიტი და აღორძინება მტკიცე. რაც იყო, ის დღეს არაა. დაიწყო ახალი ცხოვრება, ახალი ხანა ყველა ქართველობის გაერთიანებისა, მიუხედავად სარწმუნოებრივ განსხვავებისა.

და რომ ეს შემთხვევითი მოვლენა არაა, არამედ გამოწვეულია ღრმა ისტორიულის პირობებით, ამას ნათლად მოწმობს ერთი სტამბოლელი მაჰმადიანი ქართველის სიტყვები, რომელმაც სთქვა: „ოსმალეთში რომ რევოლიუცია მოხდა, ყველა ერი რომ ამოძრავდა და თვითგამორკვევის გზას დაადგა, ყველამ მონახა თა- [illegible]

ძეგლი დიმიტრი ყიფიანის საფლავზე, მთაწმინდაზე.

ოსმალო ვარ, მე არაბი, მე ქურთი, მე ჩერქეზი, მე ალბანელი და სხვა, ქართველები—გურჯებიც დიდ საგონებელში ჩავარდით და მწარედ ვკითხეთ ჩვენს თავს: ჩვენ ვინ-და ვართ? ვკითხეთ და გამოვერკვიეთ ძალაუნებურად. მოვიგონეთ ჩვენი სამშობლო, ენა, წარსული, დანარჩენი ქართველობა, და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენც ჩვენს ერს დავუბრუნდეთ, ჩვენს საქართველოს მივეკედლოთ, შევუერთდეთ და ქრისტიან ძმებთან ერთად შევუდგეთ უკეთესი მომავლის მოპოვებას და დამკვიდრებას“...

დიდი სიმართლეა გამოთქმული სტამბოლელ მაჰმადიან ქართველის სიტყვებში. იგი გვიჩვენებს იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგეს აუცილებლივ ჩვენი ერის აღდგენის ყოველი მოტრფიალე. მაჰმადიანი ქართველების ხმა ძლიერი ხმაა, მათი ხმით ღაღადებს მთელი ერის უდიდესი საჭიროება და უნდა მივსდიოთ ამ ხმას და ყველამ, ყოველმა მხარემ, მამულის ყოველმა შეგნებულმა წევრმა უნდა გამოიღოს თავისი წვლილი, რათა მივაწოდოთ მაჰმადიან ძმებს ქართული სკოლა, წიგნი, განათლება, მომზადებული მასწავლებლები...

ეს დიდი საერო საქმეა!

სიტყვა.

დიმიტრი ყიფიანი

მისი დაბადებიდან ასი წლის შესრულების გამო.

ძნელია ისეთი შეგნებული ქართველის პოვნა, რომელსაც არ გაეგოს დიმიტრი ყიფიანის სახელი. და ეს იმიტომ, რომ მეცხრამეტე საუ- [illegible] არსებობის მოსპობის დღიდან, ოთხმოციან წლების მკაცრი რეაქციის დროს, მან, თავის თანამემამულეთა შორის პირველმა და უწარჩინებულესმა, მედგარი პროტესტი განაცხადა თავისი მშობელი ერის უდიერი ჩაგვრისა და აბუჩად აგდების წინააღმდეგ.

დიმიტრი ყიფიანმა 19—20 წლის ჭაბუკმა მონაწილეობა მიიღო იმ ქართველ არისტოკრატთა ჯგუფში, რომელსაც შეთქმულობით ჰსურდა საქართველოს განთავისუფლება რუსეთის რეჟიმისაგან 1832 წელს. ხსენებული ჯგუფი გაჰფანტეს. მონაწილენი გადაასახლეს რუსეთის შორეულ ადგილებში. მათ შორის დიმიტრი ყიფიანი გაისტუმრეს შორეულ ჩრდილოეთში ვოლოგდის გუბერნიაში. იქ მას ელოდა დიდი წარჩინება და პირადი ცხოვრების სასურველად მოწყობა, მაგრამ მან ეს უარჰყო. როგორც კი ექსორიიდან განთავისუფლდა, მოაშურა სამშობლოს, მრავალტანჯულ საქართველოს. აქ იგი ჩაება ცხოვრების ფერხულში. განათლებამ და ნიჭმა ხელი შეუწყო, რომ მას დაეჭირა უპირველესი ადგილი საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოღვაწეობის ასპარეზზე. თუ ჩამოვთვლით რომ ის შეიქმნა კავკასიის მთავარ-მართებლის, მეფის მოადგილის კანცელარიის გამგე და საბჭოს წევრი. მიაღწია სამოქალაქო სამსახურის გენერლის ჩინამდე, იყო ტფილისის ქალაქის მოურავად, ტფილისის გუბერნიის თავ.-აზ. წინამძღოლად, ეჭირა ასეთივე თანამდებობა ქუთაისის გუბერნიაში, იყო სამეგრელოს [illegible] და [illegible] სხვ. საკმარისია წარმოვიდგინოთ მისი ვინაობა და გავითვალისწინოთ მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა. იგი იყო დამცველი გაბატონებული სახელმწიფური წესწყობილებისა, კლერიკალური რწმენისა, წოდებრივი და ქონებრივი უპირატესობისა, წინააღმდეგი ბატონყმობის ურთიერთობის სრულად მოსპობისა და ამ რიგად მოწინააღმდეგე დემოკრატიულ ინტერესებისა. საკმარისია გავიხსენოთ მისი როლი სამეგრელოს დაბეჩავებულ გლეხთა საქმეში, რომ წარმოვიდგინოთ იგი სავსებით. და ასეთი ადამიანი იქცა თავისი ქვეყნის მეცხრამეტე საუკუნის უდიდეს კაცად. ეს მოხდა იმიტომ რომ, მან მიუხედავად თავისი პირადი მდგომარეობისა, ვერ აიტანა თავისი მშობელი ქართველი ერის ვინაობის ფეხით გათელვა. მედგრად ხმა ამოიღო ეროვნული თავმოყვარეობის დასაცავად და მოაგონა ეგზარხოს პავლეს და მთავარმართებელ დუნდუკოვ-კარსაკოვს, რომ ის ქვეყანა, რომლის მმართველებად ისინი იყვნენ წარმოგზავნილი ვერ დასთმობს მწყემსთავრისაგან წყევლას და მმართველისაგან ქელვას. იმ დროს ამისი ხმა მაღლა თქმა დიდი გმირული მოქმედება იყო. აღშფოთებულმა ეროვნულმა გრძნობამ ასეთი გმირად აქცია დიმიტრი ყიფიანი. იგი მოჰკლეს, მაგრამ ის იდეია, რასაც შესწირა მან თავი ე. ი. ეროვნული გამოღვიძება, მას შემდეგ ისე გაღვივდა, გაიზარდა და გამტკიცდა, რომ იმ აზრებსა და სიტყვებს, რასაც ემსხვერპლა მეორე დიმიტრი თავდადებული, დღეს ყოველი შეგნებული ქართველი თამამად აღიარებს. დიმიტრი ყიფიანი, როგორც პირველი მებრძოლი და მსხვერპლი ეროვნული ღირსების დასაცავად მუდამ მოაგონებს თავის ვინაობას ქართველ ერს, ვიდრე ეს უკანასკნელი არ გაქრება დედამიწის ზურგიდან.

ა. კლარჯეთელი.

(„ბათუმის გაზეთი“).

მომღერალთა დასი ქ. სოხუმში

სულ რამდენიმე თვეა, რაც სოხუმში ბ-ნ მუკუ ლოლუას მეთაურობით შესდგა ქართველ მომღერალთა დასი. მქონდა შემთხვევა მომესმინა ამ ახალგაზრდათა სიმღერა და უნდა ვაღვიარო რომ სინამდვილემ მოლოდინს გადააჭარბა. გამიგონია მე სხვა ქართველ მომღერალთაგანაც დასავლეთ საქართველოს სიმღერები, მაგრამ როგორც ის ზემოხსენებული გუნდი უტყუარათ გადმოგვცემს დასავლეთ საქართველოს სიმღერათა ჰანგებს, ასე ჯერ არც ერთ ქართულ გუნდს ეს არ მოუხერხებია. უპირველესი მიზეზი კი ამისა ის არის რომ თვით გუნდს [illegible] სავლეთ საქართველოს ქართველები, რომელთა მკვირცხლ ჰანგებს, და კილოს მხოლოდ ისინივე დასძლევენ და დაუძლევიათ კიდეც.

ყოველივე ეს მოახერხა სიყვარულმა საქმისადმი, ხოლო საზოგადოება კი მოვალეა გაუწიოს მას თვისი ზნეობრივი და ნივთიერი დახმარებაც.

დიდი მნიშვნელობა ექნება იმ გუნდს მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც დასავლეთ საქართველოს სიმღერებს ძრიელ ნაკლებად იცნობენ.

კარგს იზამს ახალი კლუბი მოიწვევდეს ხსენებულ ხოროს თფილისში.

ი. ეგდოშვილი.

ქალაქის სკოლების გარშემო

(წერილი ქუთაისიდან).

ამას წინად „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა ამავე სათაურით ჩემი წერილი, რომელშიაც სასკოლო კომისიის საგულისხმოდ აღვნიშნე, თუ რამდენად საჭიროა ერთი ახალი პირველდაწყებითი სკოლის გახსნა განაპირა უბანში, ორპირის ქუჩაზე, და ამასთანავე არსებულ ქალაქის პირველდაწყებით სკოლებთან მეოთხე განყოფილებების გახსნა. მომავალ სამოსწავლო წლიდან, თანახმად 1912 წლის ივნისის კანონისა, რადგანაც მოსალოდნელია ყველა სამოქალაქო ექვს კლასიანი სასწავლებლები გადააკეთონ მაღალ პირველდაწყებით სკოლებად, სადაც პირველი ორი კლასი დახურულ იქნება, იმის გამო ქალაქის დაბალ სკოლებში კურს დამთავრებული მდაბიო მოქალაქეთა შვილები, რომლებიც ამდეხანს აგრძელებდნენ სწავლას ხსენებულ სამოქალაქო სასწავლებლებში, ველარ მოხვდებიან ახალი ტიპის სკოლებში და ქუჩაში დარჩებიან. ამის გამო ვნების კვირაში, ქალაქის გამგეობის დარბაზში, სკოლების წარმომადგენელთა თანადასწრებით სასკოლო კომისიამ გრ. ბარათაშვილის თავმჯდომარეობით მოახდინა სხდომა, რომელზედაც დაადგინეს: დაარსდეს ორპირის ქუჩაზე მომავალი სამოსწავლო წლიდან ერთი პირველდაწყებითი სკოლა და ჯერ-ჯერობით პირველ სასწავლებელში, რომელიც იმყოფება შუაგულ ქალაქში, გაიხსნას სამივე ვაჟების სკოლათათვის საერთო მეოთხე განყოფილება, შემდეგ კი თანდათან დანარჩენ სკოლებშიაც.—ამის შემდეგ იქონიეს მსჯელობა მასწავლებლების მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე. წაკითხულ იქმნა ცნობები, თუ რამდენი ეძლევათ წლიურად ბათომის, ბაქოს და ტფილისის პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლებსა.

ბათომის სასწავლებლებში—სკოლის გამგეს ეძლევა 800 მანეთი, ბინა [illegible] შეშა და განათება; მასწავლებლებლებს კი მხოლოდ 800

„გრიშაშვილის ლექსები“

(კრიტიკული ესკიზი)

ერთს შესამჩნევ წერილში, რომელიც ჩვენმა ნიჭიერ ლექტორ-კრიტიკოსმა ბ. გრ. რობაქიძემ უძღვნა ხელოვნებისა და სინამდვილის ახსნასა და განმარტებას შემდეგს მოგვითხრობს, ოსკარ უაილდის სიტყვებით: „ხელოვნებას ეკუთვნი- [illegible] ფორმანი, უფრო ნამდვილნი, ვიდრე თვით ცოცხალი ადამიანი: მას ეკუთვნის უმაღლესი წინასწარ სა- [illegible], რომელთა უბრალო მსგავსე- [illegible] გამოდიან არსებულნი საგან- [illegible]“.. სრულ ჭეშმარიტებას, სრულ სინამდვილეს მოგვითხრობს ჩვენი კრიტიკოსი, როდესაც მოწადინებულია დაგვიმტკიცოს, რომ ხელოვნებას ეკუთვნიან ფორმანი უფრო ლამაზნი, მომხიბლავნი თვისი შინაარსით, ვიდრე ტლანქსა და მოუ- [illegible] ცხოვრების სინამდვილეს,—რომ ხელოვანი თვისი ღვთიური ნიჭით ჰქმნის უფრო წარმტაცსა და [illegible]ტკბობელ, ესთეტიურ სიამოვ- [illegible] მომგვრელ სახეებს, ვიდრე [illegible] თვით ცხოვრება იძლევა. იგი [illegible] ზეგარდმოცემული ნიჭით, [illegible] წარმტაცი ფორმით—მახინჯს [illegible] ჰქმნის—მშვენიერებად, შეუ- [illegible] მოვლენას—შესამჩნევად და [illegible]ლოდ და უბრალო მომაკვდავ —უკვდავად და მარადიულად. [illegible] თვალსაზრისით თუ დაუახლოვ- [illegible] გრიშაშვილის პოეზიას, მის [illegible]ლაც რომ წარმტაც ფორმას, [illegible] წმუნდებით, რომ გრ. რობაქი- [illegible]რთალია ამ შემთხვევაში, რად- [illegible] გრიშაშვილის ლექსები, რომელ- [illegible]ლიან ხშირად მოკლებულნი [illegible] შინაარს, ეხებიან წვრილმან [illegible]ებს ჩვენი ცხოვრებისას,—რომელნიც შექმნილნი არიან წუთიერი შთაბეჭდილების გავლენით და არა ღრმა ხანგრძლივი ფიქრისა და განცდის შემდეგ,—რომელთაც მძიმე ბეჭედი ატყვია იმპრესიონიზმისა,—დავრწმუნდებით, რომ მართლაც შესძლებია უტყუარ ნიჭს, ხელოვანს, რომელიც უსულო საგანს სულს შთაბერავს და უმნიშვნელო მოვლენას—ყურადსაღებ მოვლენად გადააქცევს,—გამოიჩინოს იმგვარი სიძლიერე, ნიჭი და ღონე, რომ სულ უბრალო, ჩვენთვის უმნიშვნელო მოვლენა, ზოგჯერ უშინაარსოც კი—შინაარსიანად მოგაჩვენოთ, მოგაწონოთ და დაგატკბოთ თვისი მშვენიერი არა ამ ქვეყნიური სიხარულისა და სიამოვნების მომგვრელი სიტყვებით.

პოეტ გრიშაშვილს, როგორც, საზოგადოდ ყველა პოეტს, უყვარს გაზაფხული, „მისი სუნთქვა“, იმედის მომგვრელი თვისება და ძალა. მგოსანს არ შეუძლიან სიცოცხლე უამისოდ, არ შეუძლიან აზროვნება უსილამაზოდ, თუ ვერ ჰხედავს გაზაფხულის მატყვევებელ სიმშვენიერეს, როდესაც ყოველივე ხარობს და იფურჩქნება, როდესაც კოკორთა გუნდი, ვარდთა კონა იღვიძებს, იშლება, რომ მთელი დედამიწა სურნელოვნებით მოჰფინოს, რომ ხალხი თვისი მშვენიერებით დაატკბოს.

ამ გვარ მოვლენას, რასაკვირველია, ყოველთვის პოეტი, ნიჭის ალსავსე მგოსანი, უფრო გრძნობს, ახლო განიცდის. გრიშაშვილმა სწორედ რომ დაგვიმტკიცა ამ მხრივ უტყუარი ნიჭის ძლიერება და შესამჩნევად დაგვისურათხატა „გაზაფხულის სუნთქვა“, გაზაფხულის მატყვევებელი ძლიერება.

ლექსი „სუნთქვა გაზაფხულისა“—ერთ საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს გრიშაშვილის შემოქმედებაში. აქ მან გაშალა ფრთა, აქ მან შესძლო დაძლევა თითქმის უძლეველისა,—ამ ლექსში დაგვიმტკიცა მან, რომ მასაც შესძლებია უნაკლო ლექსის შექმნა, როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრითაც, აი თვითონ ლექსიც:

„აუსრულდა მთვარეს ხვეწნა
და მთის ჩანჩქერს გადაეწნა,
გადაეწნა ბროლის ჩანჩქერს,
აამღერა და ამ ნამღერს ყურს
ჩასძახის სხივთა ნამქერს.

თეთრ ფოთოლზე თეთრი ცხვარი
მზის ცრემლებით გადამწვარი
ცეკვავს, მღერის, თრთის, კაშკაშებს
და სიო კი მრავალგვარი
ნაზ ჯეჯილის ნაზ ულვაშებს აკვნესებს და ათამაშებს;
მზემ დააყრდნო მთის მკერდს თავი,
დაიშალა დალალ-კავი
და ზღვას სტყორცნა—გადაჰღუნა,
ზღვამ კი სხივთა თავ-საკრავი
არ მიიღო—დაუწუნა და მზეს უკან დაუბრუნა“.

ამაზე უფრო კარგად, მომხიბლველად და დასრულებულად არც ერთს ჩვენს მგოსანს არ აუწერია გაზაფხულის სუნთქვა,—ამგვარი ძლიერებით ალსავსე ლექსი არც ერთს მათგანს არ შეუქმნია ჯერ-ჯერობით.

გრიშაშვილი „ოცნების კოცნის“ მგოსანია და ვერ ჰშორდება კოცნის სიტკბოებას, იმის მნიშვნელობასა და წარმტაც მხარეს. იგი ხანდახან უკიდურეს ეროტიზმს იჩენს თავის ლექსებში [illegible] მოთაყვანედ და გაღმერთებლად გამოდის. ეს, რასაკვირველია, მგოსნის ნაკლს არ შეადგენს, მაგრამ არც რამე დიდი ღირსების მაჩვენებელია.

დაუგდოთ ყური თვით მგოსანს:

„ყვავილთ ტბაში დავიბადე: მეოცნებე, მოლივლივე,
ჰაეროვან კოცნამ მშობა, კოცნამ მომცა ყოველივე.
სხივთა ლეჩაქს ჩავეხლართე, სხივთა ლეჩაქს კოცნით დამღნარს,
ოქროს წკირა მიუძღვენი ელოსის ოცნების ქნარს...
...კოცნა კუბოს ნაგლეჯია—შიგ მარხია მუზათ კვნესა,
თვით სატანაც კოცნას ეძებს,
კოცნა ეძებს სიცოცხლესა.
კოცნა ჩემი ჰაერს აპობს, ცის ნამს აშრობს ყვავილთ გულზე,
მთის ლაწვებზე ყინულსა სწვავს დ ფრთას ჰშლის გაზაფხულზე.
მზემ ააშრო ჩემი ცრემლი, ზე ასწურა, ჰკოცნის... ჰკოცნის
და ღრუბელი დღეს რომ სტირის
ეს ცრემლია ბედკრულ მგოსნის.
კოცნის სუნთქვამ გამომზარდა,
კოცნამ მომცა ყოველივე,
კოცნამ მშობა, კოცნა ჩამკლავს,
კოცნას ჩემი ბედი მივე“.

დიაღ, მგოსანი, მისი პოეზია „კოცნის სუნთქვის“ გამოზრდილია, კოცნამ მისცა მას ყოველივე და კოცნავე მოსპობს მას. ჩემის აზრით, აქ სრულებით შეუფერებელია ამ ლექსის გარეგნულ ფორმაზე ლაპარაკი, რადგან ამას ყველა ჰხედავს, ყველა გრძნობს. აქ ჩვენი გულის ყური შინაარს უნდა მივაქციოთ. რისი თქმა უნდოდა პოეტს ამ ლექსით? რასა გრძნობდა მგოსანი, როცა სწერდა ამ ლექს, რა გვამცნო მან ამ ნაწარმოებით? უპირველესყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარი ლექსი თუ რამეს გვეუბნება—ისევ მგოსნის სულიერ განცდას, მის სუბიექტიურ, ინდივიდუალურ თვისებებს გვაჩვენებს,—მის ტემპერამენტს და რასაკვირველია, ნიჭსაც. აქ დიდსა და ღრმა შინაარს ვერ იპოვით, აქ ვერ ნახავთ რასმე ძლიერს, დასრულებულს თვისი შინაარსით, მაგრამ ამის თქმა კი შეიძლება, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ვერ გრძნობთ დიდ „შინაარსიანობას“,—მაინც მოქმედობს თქვენზე, მაინც მოგწონთ დ აღიდებთ, იმიტომ რომ რაღაც ახალსა და უცხოს ჰხედავთ მასში,—მოგწონთ რადგან ამგვარი სიტყვა, ლექსი ჩვენთვის არაჩვეულებრივია, უცხო, გასაკვირველი, როგორც თვისი შინაარსით, ისე გარეგნულ ფორმითაც.

და სრულ ჭეშმარიტებას აღიარებენ ისინი, ვინც გრიშაშვილს „ოცნების კოცნის“ მგოსნის სახელს უწოდებენ.

ამ ერთი წლის წინად ბ. გრ. რობაქიძემ ჩვენს გაზეთში აღნიშნა, რომ გრიშაშვილი აღმოსავლეთის ლიტერატურას, პოეზიას გვაგონებსო. ისეთივე მოტივებით არის გამსჭვალული მისი შემოქმედება, როგორც აღმოსავლეთის პოეზიაო.

გადაჭრით ამის თქმა არ შემიძლიან, რადგან ნაკლებად ვიცნობ აღმოსავლეთის ლიტერატურას, პოეზიას, არ მაქვს გათვალისწინებული იმისი უმთავრესი სულის კვეთება,—მაგრამ ეს კი გადაჭრით და თავისუფლად შემიძლიან ვაღვიარო, რომ მას წინამორბედი არ ჰყავდა ჩვენს პოეზიაში, ჩვენს ლიტერატურაში და არც ევროპიელთა და რუსულ ლიტერატურაში. ადვილი შესაძლებელია ბ. რობაქიძე სრულ ჭეშმარიტებას აღიარებდეს, როდესაც ამბობს, რომ გრიშაშვილი არ იმყოფება რუს მწერლების გავლენის ქვეშ,—რომ მისი პოეზია აღმოსავლეთის პოეზიამ აღზარდა და მავნე ჩაუდგა მას სულიო.

ასეა თუ ისე, გრიშაშვილი ნიჭით აღსავსე პოეტია, ლექსთა წყობის, გარეგნულ ფორმის საუკეთესო გამომხატველი, ხანდახან შინაარსიანიც და მისი პოეზიის გვერდის ახვევა ყოვლად შეუძლებელია. მას მშვენივრად აქვს წარმოდგენილი და გათვალისწინებული ბუნების ძალთა სილამაზე, მათი უხილავი, ფარული საიდუმლო თვისებები; მან იცის, რომ, როდესაც გამოზაფხულდება:

„კორდის ძირს მოშხუის ლაღად მდინარე,
წარბებს იღებავს ყვავილი...
იღვიძებს ვერხვი მძინარე;
ზეიმს ეწვევა ბუნება სხივზე
თამაშობს ფოთოლი“...

და ამ დროს მგოსნის „მუზაც ფრთასა შლის და მას ბანს აძლევს ჩანგი ობოლი“,—ამ დროს მგოსანი გრძნობს, რომ „ცელქმა სიომ ბუჩქნარი შეაკრთო, შეაშრიალა“ და როგორ იქნება, როგორ შეიძლება, რომ არ აღნიშნოს ეს ფრიად საგულისხმო, ფრიად სასიამოვნო, გულის გამხარებელი მოვლენა?

წარმოუდგენელია მგოსნისთვის, რომ მშვენიერი კოკორი, რომელიც ხვალ ვარდათ იქცევა,—ვარდი, რომელიც უკვე გაფურჩქვნილი და გულის გამხარებელია—„თეთრი ვარდი, რომელიც „ტუჩს უკოცნის“ მის სატრფოს, რომელსაც „ამბორს უძღვნის“ და ჩურჩულს უტკბობს „მობიბინე მწვანე ხავსი“ და „ცელქი სიო დასციმციმებს“ გარშემო,—რა გადასცემს მის სატრფოს მოკითხვას, სალამს.

იადონი?

კოკი აბაშიძე.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენება

— მამავ, მამავ, მეშინიან,
ცეცხლის ალი ცასა სწვდება,
წითლათ, ყვითლათ ცა ელვარებს,
მზე ბნელდება, მზე შავდება;
ალქაჯთ ჯარი მოიმღერის,
ალქაჯთ ჯარი მეპარება.
— არა, შვილო, ეს შენს აკვანს—
შენს გამომზრდელ საქართველოს,
ირგვლივ მტერი მოსწოლია,
რომ დალეწოს, დაანგრიოს;
— მამავ, მამავ, ვილაც მოდის
საშინელი, საზარელი,
გულს მიწიწკნის, გულს მიფლეთავს
სისხლიანი მისი ხელი!
— არა, შვილო, ეს სხვა არი,
არ გეგონოს ალქაჯი რამ,
შენისთანა წმინდა მსხვერპლი
თუმცა ბევრი შეუწირავს.
ეს ის არი, შენ რომ თავზე
ხელს გისვამდა ალერსითა,
ჰსურს რომ ენა ამოგგლიჯოს,
ჰსურს რომ ენა მოგცეს სხვითა!
— მამავ, მამავ, ძლიერდება,
ძლიერდება ნიავ-ღვარი,
არწივს ვხედავ თავს დამქროლავს,
კლანჭები აქვს შესაზარი!
მეშინიან დამიფარე...
— მოდი ჩემთან, გენაცვალე,
მე მივუშვერ არწივს ჩემს მკერდს,
მე მივუშვერ მკლავს მის მარწუხს,
შვილისათვის კვდება მამა,
შვილისათვის ვინ არა სწუხს!

—

ქარი დაჰქრის, ქარი გმინავს,
ცეცხლის ალი ცასა სწვდება,
ჰკრთის პაწია, ეშინიან,
და მამის მკერდს ეხუტება!

ი. მედოშვილი.

მანეთი, ამასთანავე პერიოდული მომატება ყველას—ქალაქის გამგეობისაგან ყოველი ხუთი წლის შემდეგ 10% ცალკე და სამინისტროსაგან 60 მანეთი ცალკე. ამდენივე ეძლევათ ბაქოს სკოლებში პერიოდული მომატებით. ტფილისის სკოლებში გამგეს ეძლევა 750 მანეთი, ბინა, შეშა, და განათება, მასწავლებლებს კი 600 მანეთი. ამასთანავე—ქალაქის გამგეობისაგან ყოველი ხუთი წლის შემდეგ 10% და სამინისტროსაგან 60 მანეთი ემატება. სამივე ქალაქში სკოლებს ეძლევა სამინისტროსაგან სუბსიდია და მასწავლებლები ითვლებიან მონაწილედ სამინისტროსთან დაარსებულ მასწავლებელთა საპენსიო კასაში.

შევადაროთ ამ ცნობებს ქუთაისის საქალაქო სკოლების მასწავლებელთა მდგომარეობა: გამგეს ეძლევა 500 მანეთი და ბინა-შეშა-განათებისათვის ცალკე 300 მანეთი, მასწავლებლებს კი მხოლოდ 500 მან.; ამასთანავე ყველას ქალაქის გამგეობისაგან პერიოდული მომატება ყოველი ხუთი წლის შემდეგ 20% საჯერ; ამ გვარად მასწავლებელმა [illegible] ხუთი წლის განმავლობაში წელიწადში ბინით, შეშით, განათებით და ხარჯით 500 მანეთით, მეორე ხუთი წლის განმავლობაში 600 მანეთით და მესამე ხუთი წლის განმავლობაში 700 მანეთით, შემდეგ კი მიეცემა წელიწადში 800 მანეთი; ეს არის და ეს იმისი ავლა დიდება.—საშუალო რიცხვით ის ღებულობს 600 მან., აქედან განაპირა უბანში ბინა, შეშა და განათება უჯდება მასწავლებელს 20—25 მანეთი თვეში, დანარჩენი 30—25 მანეთით უნდა იცხოვროს ოჯახით, შვილებს ასწავლოს, იწამლოს თეატრში შეიხედოს, ჟურნალ-გაზეთები გამოიწეროს და სხვა...

მალე სოფლებში უფრო უზრუნველყოფილნი იქნებიან მასწავლებლები, რადგან 1916 წლიდან მათ მიეცემათ წლიურად 480 მანეთი და ყოველი ხუთი წლის შემდეგ 60 მანეთი პერიოდიული მიმატება სამინისტროსაგან, ამასთანავე აქვთ სკოლაში ბინა, შეშა განათება და მსახური,

შევადაროთ კიდევ ქალაქის და სოფლის ცხოვრება და მოთხოვნილებანი.

ასეთი ცნობებისა და შედარების წაკითხვა-განხილვის შემდეგ სასკოლო კომისია დარწმუნდა, რომ ქუთაისის საქალაქო სკოლების მასწავლებლები ცუდ მდგომარეობაში იმყოფებიან ნივთიერად. ამიტომ სასურველად სცნეს ზომების მიღება და საშუალების გამონძებნა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მაგრამ აქვე დაებადათ საკითხი: რა საშუალებით გააუმჯობესონ მათი მდგომარეობა? მიჰმართონ ქალაქის გამგეობას—ღარიბია ქალაქი, მიჰმართონ სამინისტროს და ითხოვონ სუბსიდია—ვაი თუ ცუდი შედეგი მოჰყვეს შემდეგ უფლებების მხრით.

მაგრამ ამ მხრით ცოტა არ იყოს გარანტიას იძლევა ბაქო—ტფილისი—ბათუმი, რომლებმაც მიიღეს სამინისტროსაგან გადაწყვეტილი სუბსიდია და ჯერ-ჯერობით მასწავლებლების მოწვევა-გადაყვანაში, რაც უფლებები ჰქონდათ წინად, ის შერჩათ. მომავალი კი რას გვეტყვის ვინ იცის!?.. რასაკვირველია უმჯობესია, ქუთაისის ქალაქის გამგეობა ახერხებდეს და მასწავლებლებს ჯამაგირს უმატებდეს—600 მანეთს 20% პერიოდიული მიმატებით ყოველი ხუთი წლის შემდეგ ოთხჯერ. სასკოლო კომისიამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საკითხს და ამ ერთ კვირაში კიდევ მოახდენს სხდომას.

ლადო ბზვანელი.

კავკასიის სახალხო უნივერსიტეტების საყურადღებოდ

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც რუსეთის პროგრესიულ საზოგადოებაში დაიბადა აზრი სახალხო უნივერსიტეტთა დაარსებისა, თუმცა ეს 1905 წელს ეღირსა. ამ დროიდან კი მას ეძლევა არსებობის უფლება და წინსვლა.

1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტამდის ციმბირის ორი მოღვაწე პ. მაკუშინმა და სავინმა დიდი თანხა გადასდეს ციმბირში სახალხო უნივერსიტეტის მოსაწყობად. 17 ოქტომბრის მანიფესტის აღსანიშნავად პეტერბურგის ქალაქის საბჭომ დაადგინა, გაეხსნა ქალაქის ხარჯზე სახალხო უნივერსიტეტი. პეტერბურგს მიჰყვება მოსკოვი, ვარშავა და სხვა ქალაქები. 1906 წლიდან ამ ფრიად საჭირო საქმემ თითქმის ყველგან ფეხი მოიკიდა. სახალხო უნივერსიტეტების მეოხებით რუსეთის ფართო საზოგადოებას საშუალება ეძლევა ცოტათი მაინც იგემოს განათლების ხილი და ნელნელა გამოვიდეს უმეცრების წყვდიადიდან. მაგრამ სახალხო უნივერსიტეტთა ბედი, როგორც მოძრაობისაგან სხვა მოპოვებულ უფლებათა ბედი, თითქოს წინდაწინ გადიჰრა. დადგა რუსეთისათვის შავი დღეები და ბრძოლით მოპოვებული უფლებანიც გააბათილეს. ამის გამო სახალხო უნივერსიტეტთა მოქმედება თანდათან ფერხდება და მცირდება. აღარ სჩანს ამ საქმეში ძველებური სიხალისე-სიცოცხლე, და ეს სიმპატიური საქმე თითქმის იძინებს. მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს, და არც რუსეთის ცხოვრებას შეეძლო სამუდამო ძილს მისცემოდა. თუ ოდესმე შეერთება-შეკავშირება საჭიროებას წარმოადგენდა—დღეს ასეთი შეკავშირება აუცილებელი ხდება. დღეს კავკასიის სახალხო უნივერსიტეტებმა არ იციან რა ხდება, რა კეთდება მის თანამოძმე დაწესებულებებში, არ აქვთ საერთო მოქმედების გეგმა, რადგანაც ერთმანეთს სრულიად არ იცნობენ.

ასეთი დაფანტულობა და უკავშირობა დიდ ზიანს აყენებს სახალხო უნივერსიტეტების საქმეს, ხოლო თანამოძმე ორგანიზაციათა შეთანხმებული და მწყობრი მოქმედება თავდებია მეტი ნაყოფიერებისა და სარგებლიანობის. ამიტომ ქუთაისის სახ. უნივერს. გამგეობა მოუწოდებს კავკასიაში არსებულ სახალხო უნივერსიტეტებს ერთ გამაერთიანებელ-შემკავშირებელ ორგანოს შესაქმნელად. ამისთვის უნდა მოეწყოს კავკასიის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადო მუშაკთა ყრილობა ახლო მომავალში.

გამგეობა სთხოვს ყველა დაინტერესებულ პირთ ამ საქმის შესახებ გამოსთქვან თავიანთი აზრი პრესის საშუალებით.

ჩვენის ფიქრით ყრილობა მოწვეულ უნდა იქნას ქ. ტფილისში. ამიტომ ყრილობის მოწვევა სასურველია ტფილისის სახალხო უნივერსიტეტმა ითავოს.

ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობა.

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი.

გამგეობა.

პატარა ფელეტონი

მიყვარხარ!

როდესაც შენგან დაშორებული ვარ, ჩემი სული შენსკენ მოისწრაფის, ვითარცა წმინდა ლოცვა ზეციისაკენ, და შენზედ ოცნებაში ეწაფება ღვთიურს ნექტარს..

ჩემი ნერვების ყოველსა კრთომას, ჩემი სხეულის ყოველ ნაკვთსა შენა სწყურიხარ... და ჩემი აზრების ყოველი ხვეული შენზე ფიქრთაგან არის წარმონაშობი!

მე შენ მიყვარხარ!

მიყვარს შენი თვალები—შავი, როგორც ღამის წყვდიადი, და მწველი, როგორც ჩემი სამშობლოს მზე შუადღისას!

მიყვარს შენი წარბები—თითქოს მხატვარ-გენიოსის ხელოვან მარჯვენას კუნაპეტით მოეხაზოს ისინი მაგ თეთრ-მარმარილოს შუბლზე!

მიყვარს ბაგენი შენნი—რომელნიც მწიფე ბროწეულს მაგონებენ.

მე შენ მიყვარხარ! შენ შეადგენ ჩემთვის მთელს მსოფლიოს, შენ დაგკრთის ყოველი გრძნობა-აზროვნება ჩემი...

როდესაც შენგან დაშორებული ვარ—ვიტანჯები, შენსკენ ვისწრაფვი, შენა მწყურიხარ!..

ჩემი ფიქრები შენით არიან გამსჭვალულნი... მაგონდები, ღვთიურო, როგორც გაზაფხულზე გაფურჩქვნის მსგავსი, მაგონდება შენი ხმა, მინამსგავსი მთის ნაკადის ნაზ რეკვას, როდესაც იგი ერთი კლდიდან მეორეზე გადაეშვება; მაგონდება მიმოსუფთალი, [illegible] ნაზი და თავისნავარდი! ამაყად აგიდია თავი, [illegible]ში ამართულხარ და ლამაზად მოგიღერებია ყელი, თითქოს მთის მშველი წყაროს ცივს სარკეში ეწონება თავისს სილამაზესო...

ჩემი აზრები შენსკენ მოჰქრის. გიგალობ ნანას ჩემს ოცნებაში და გიამბობ იმ ზღაპრებს, რომლებსაც წყნარ მთვარიან ღამეს უმღერის ბულბული ალისფერს ვარდისა; იმ ზღაპრებს, რომლებსაც ჩურჩულობენ გაზაფხულის ყვავილნი, როცა მათ დილის მზის პირველი სხივი შეეხება; იმ ზღაპრებს, რომელიც გაისმიან ველზე მწვანე ბალახის ნაზს შრიალში, როდესაც იმათ ნაზი ეთერი თავსა ევლება იმ ზღაპრებში ჩაქსოვილა მთლად ჩემი სიყვარული და მთლად ჩემი მისწრაფება შენდამი...

ჩემი აზრები შენთან არიან...

შეგბურავ ოცნებათა ნაზი ბურვილით და გეალერსები; ალერსი ჩემი უფრო ნაზია, ვინემ ალერსი ტკბილ მორაკრაკე ნაკადისა, რომელიც თავისს ზურმუხტოვან სანაპიროების მწვანე სიყვარულს თითქმის დაულევია...

მე შენ მიყვარხარ!

როდესაც შენგან განშორებული ვარ,—ვიტანჯები, შენსკენ ვისწრაფვი, შენა მწყურიხარ!

და ვისწრაფვი შენს ნახვას, ჩემი სული მსოფლიოს ჰანგით აღვსილია, აღვსილია სიყვარულის ზღაპრების და სიცოცხლის ლექსებით...

და მივისწრაფვი შესახვედრად, რომ ფიანდაზად დაგიფინო ყველა შენაწირავი ჩემი..

შეხვედრისას კი, თვალნი კრძალვით ძირს მეხრება და ენა მებმის... ვჩქარობ, გავშორდე, რომ კვლავ შორიდან მწყუროდე და ვისწრაფოდე შენსკენ!..

მე შენ მიყვარხარ... მაგრამ ვერ კი მიცვნია შენი არსება!

მე შენსა თვალებს ვადარებ ღამის წყვდიადსა, მაგრამ იქნებ ისინი იმ ფერია, როგორიც ცის ლაჟვარდია, და ნათელია, ვით ბავშვის სული...

მიყვარხარ, და ვერ კი მიცვნიხარ.

არ ვიცი, რა კრთის შენს თვალებში—ციური ლაჟვარდი, თუ ზღვის უფსკრული, სამარადისო ნეტარება თუ ამ ქვეყნიური სამოთხე, მაგრამ მიყვარხარ!

სიყვარული ჩემი—ეს სტიქიონია, და მე არ ძალმიძს მას გავექცე, როგორც ბედს...

მიყვარხარ, მაგრამ ვით ძალმიძს გადმოვქცე მთელი ძალა ჩემი სიყვარულისა, რომელიც უზომოა, ვითარცა მსოფლიო, და უძირო ვითარცა ზღვა.

შენ მიყვარხარ—ამ სიყვარულში გამოითქმის მთელი ძახილი ჩემი სულისა, რომელმაც თავის სიყვარული ბედნიერებასა და სევდაში იგემა მთელი სიტკბო და მწუხარება ქვეყნიური ყოფისა.

და მსურს გიმეორებდე მათ ხშირად, რადგანაც ისინი უფრო მეტს გამოსთქვამენ, ვინემ მთელი კაცობრიობის ბრძენნი.

მე შენ მიყვარხარ! მიყვარხარ!..

გ. ნამორაძე.

გლოვა ქართლში

კიდევ მომიხდა დავლა ქართლის სოფლებისა და უფრო კი ტირიფონის ველისა, სადაც მთავრობას განზრახული აქვს გამართოს ჯარისათვის პოლიგონი, რომლის განსახორციელებლად ჰსურს აჰყაროს მოსახლე სოფლები, სამაგიეროდ მისცეს მცხოვრებთ ადგილ-მამულის, სახლ-კარის ღირებულება და მით მიახწიოს თავის მიზანს.

პოლიგონისათვის მთავრობას განზრახული აქვს მიიზომოს მთლად ქართლის მარჩენელი ტირიფონის ველი, რომელიც შეიცავს 130 ვერსზე მეტს.

ჰსურთ მთლად მოატიტვლონ, გასწმინდონ მცხოვრებთაგან ეს ველი და მერე კი გამოიყენონ სურვილისამებრ.

სოფლად დაიარებიან მიწის მზომელ-დამფასებელნი, სწერავენ მცხოვრებთა ადგილ-მამულს, სახლ-კარს და გლეხ-კაცობას ეუბნებიან მოაწერეთ ხელი იმ დაფასებაზედ, რომელ ზედაც ჩვენ მიგითითებთ და საფასურს მიიღებთო.

საპასუხოდ კი გლეხ-კაცობისაგან ისმის გოდება, ტირილი, ჩივილი და დიდი უარი თანხმობის გამოცხადებაზე.

სოფლელები იკრიფებიან, სტირიან, სჩივიან თავიანთ უბედურებას, იკრიფებიან თავიანთ მამა-პაპათა სალოცავებზე, მოსთქამენ ცხარე ცრემლებით თავიანთ უბედურებას და გლოვის ლექსებით ეთხოვებიან [illegible]

—რა ვქნათ, რა ვყოთ, რა წყალში ჩავარდეთ!? ვის მივმართოთ, ვინ გვიხსნის ამ განსაცდელისაგანო!? ან ვინ იქნება ჩვენს შემდეგ პატრონი ჩვენის სალოცავებისა და სასაფლაოზე დატოვილ მამა-პაპათაო?

ხალხს ჯერ კიდევ არა სჯეროდა ეს ამბავი. მთავრობა არ გაგვიმეტებს არ აგვყრის, ან რათ აგვყრის, ან რათ უნდა ჩვენი გლოვა და ტირილიო?!.

მაგრამ, როცა კარზე მომდგარი გაჭირვება დაინახეს, დარწმუნდნენ და დაფაცურდნენ. რა დაინახეს კომისიონერები, რომელთაც ასწერეს მათი სახლ-კარი (სოფელ სკანეთში ჯავრისაგან მოკვდა ორი კაცი ნიკო შატბერიშვილი და იოსებ დარეული. ექიმის შემოწმებით ორივენი ჯავრით არიან დახოცილნი), მაშინ ხომ, რაღა ტირილი იყო, მოჰკიდეს საქმეს ხელი და არც მოსტყუვდნენ: ადგილობრივ გაჩნდნენ გულ-შემატკივარნი, შეადგინეს თხოვნა სათათბიროს დეპუტატ ვარლამ გელოვანთან გასაგზავნად, მთელმა სოფლებმა მოაწერეს ხელი. აი რასა სთხოვენ ვარლამ გელოვანს სოფლელნი:

„თხოვნა მეოთხე სახელმწ. სათათ. წევრს ვარლამ გელოვანს. ჩვენ მცხოვრებნი სოფელ ჰალისა, დიდი ხურვალეთისა, პატარა ხურვალეთის, ორჰოსანისა, კოდი წყაროსი, აბრევისა, ზემო ყურისა, ქედისა, გუჩაანკარისა, ჯუვაანთ-კარისა, ზედდულეთისა, ახალსოფლისა, შავშებისა, ნაწრეტისა, ნადარბაზევისა, ნიგოზისა, დიდი რენესი, ახალ-შენისა, საკორინთლოისა, სვენეთისა, ხელთუბნისა და უფლის ციხისა მოგმართავთ შემდეგის თხოვნით.

მთავრობას განუზრახავს აჰყაროს და ჩამოართვას ზემოთ ჩამოთვლილ სოფლებს მამული და სახლ-კარი, რომელ ალაგასაც ჰსურთ გამართონ „პოლიგონი“.

ამ მიზნის განსახორციელებლად დადიან მთავრობისაგან დანიშნული კომისიონერები, რომელნიც სწერენ ჩვენს სახლ-კარს, ადგილ-მამულს ზემოთ-ნახსენებ მიზნის განსახორციელებლად.

მართალია, როგორც ჩვენ გამოგვიცხადეს საფასურს ადგილ-მამულისას იძლევიან. მაგრამ ჩვენ ეს არა გვსურს, რადგანაც ჩვენის ნებით არც მამულის გაყიდვა გვინდა და არც აყრა გვსურს.

ჩვენ ჩვენს სახლ-კარს, ადგილ-მამულს ვერ გავყიდით, ვერ დავსთმობთ, რადგანაც უამადგილ-მამულოდ ვერ გავსძლებთ, სხვაგან ვერ ვიხეირებთ.

საუკუნოებით შეჩვეულს ჩვენ მიწა-წყალს ვერ დავსთმობთ.

არ შეგვიძლიან დავსთმოთ მამა-პაპათა ძვლები—სალოცავები და მათი საფლავები, აქ დავბადებულვართ და აქავე უნდა დავიხოცნეთ.

ამიტომ მოგმართავთ თქვენ, გვიშუამდგომლოთ სადაც ჯერ-არს და გვიხსნათ იმ უბედურებისაგან რომელსაც ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ აიტანს.

გაუწყებთ იმასაც, რომ ზემოდ ჩამოთვლილ სოფლებს ზოგს მარტო მამულს ართმევენ და ცალიერ სახლ-კარს უტოვებენ და ზოგსაც სამუდამოდ ასახლებენ, ჰყრიან ძალით თავისივე მიწა-წყლიდან:

დიდ-ხურვალეთს, პატარა-ხურვალეთს, ორჰოსანს, კოდი-წყაროს, გუჩაანთ-კარს, ახალ-სოფელს, შავშებს, სვენეთს, ნაწრეტს, ნადარბაზევს, ნიგოზას, დიდრენეს, ქედსა და უფლისციხესა.

მამულს ართმევენ: აბრევს, ზემოყურს, ჯუკაანთ-კარს, ზედდულეთს, ახალ-შენას, საკორინთლოს დ ხელთუბანს.

გაუწყებთ იმასაც; რომ უტირიფონოდ და უამსოფლებოდ მოელის უბედურება მარტო ზემოდ ჩამოთვლილ სოფლებს კი არი, არამედ [illegible] მინდი. მთლად გარშემო სოფლებიც ხომ ამნაირივე მდგომარეობაში ვარდებიან, როგორც ჩვენ.

კიდევ მოგმართავთ ტირილით და გოდებით, გვიხსნათ ამ საშინელ ტანჯვისაგან. ვაწერთ ხელს თავადობა, აზნაურობა და მთლად გლეხ-კაცობა“.

ამას გარდა სოფლელებმა განაჩენები დაადგინეს, ამოირჩიეს კაცები და ჰსურთ ამორჩეული კაცებით წარუდგნენ ტფილისის მარშალს და მეფის მოადგილეს, რომლებისაც დიდი იმედი აქვთ ხსნისა. ნამეტურ უარს აცხადებენ მოხუცებულნი და დედა-კაცნი: „არა, არ იქნება, იძახიან მოხუცებულნი, სულ რომ დაანგრიონ აქაურობა, ჩვენ მაინც ჩვენ მკვდრებთან ერთად დავიმარხებითო“. უფრო გაბედულნი კი თამამად გაჰკივიან: „გაჭირვების დროს ჩვენივე სახლის წინ გავაკეთებთ ანძალებს და თავებს ჩამოვიხრჩობთო“. დედა-კაცნი ხომ დღე-მუდამ თავიანთ ქმრების ჩხუბსა და დავი-დარაბას უნდებიან: „ორხებო, ამოიღეთ ხმა, ითხოვეთ მთავრობასთან, აქეთ ეცით, იქით ეცით და როგორმე თავი დავახწიოთ ამ უბედურებასო“.

მამა-კაცებიც გამწარებულნი საქმეს ვეღარა ჰკიდებენ ხელსა, მთელი დღე და ღამე ერთად არიან შეკრებილნი და ათასნაირი საშინელი ლეგენდებით ატარებენ დროს.

მცხოვრებთ გადმოსცეს, აღდგომა დღე არავის გვიდღესასწაულია, ვისა სცხელა ამისთვისაო.

პოლიგონისათვის გამზადებული ტირიფონის ველზედ ჰყავება სულ 22 სოფელი. (ჯერ კიდევ დანამდვილებით არ ვიცით მოაკლებენ რიცხვს სოფლების აყრისას თუ განზედ გასწავენ).

სოფლებიდან სულ 1356 კომლ ჰყრიან. ამათში ქართველი მართლმადიდებელი 969 კომლია, 271 კ ქართ-გრიგორიანი, 116 კომლი ოსი

ამათში ქართველები 6090 სულ ქარ-გრიგ. 1830 სული. ოსები 79 სული. სულ 8715 სული.

ზემოდ ჩამოთვლილი სოფლები უმეტესი ნაწილი უნდა აიყაროს დ პატარა ნაწილს კი მარტო სახლ-კარი შერჩებათ.

მეწიგნე იასონი.

მარტოობა

არ შემიწირა საფლავმა მსხვერპლად,
აღარც მიმიღო თავის შვილად ცამა,
ბედმაც გამრიყა უკაცურ ქვეყნად,
ვით ნამსხვრევები მრისხანე ზღვამა;
ვეღარც ვიპოვნე შორს ქვეყანაში,
რაც უკანასკნელ იმედათ მწამდა
და, სასომიხდილს მისსა ძებნაში,
უცნობი ცის ქვეშ შემომიღამდა...
კვლავ რაღა მქონდეს მე სანუგეშო,
უთანამგზავროდ დარჩენილს გარედ?—
უნდა მიწაზე პირქვე დავეშო
და ავქვითინდე სულ მწარედ... მწარედ...

ი. მჭედლიშვილი.

სამტრედია. 5 აპრილი.

მაჰმადიანი ქართველები

ამას წინად რედაქციაში შემოვიდ ორი ახალგაზრდა; ერთს მათგან ეგვიპტური ფესკა ეხურა, სახე ტ პიური დასავლეთელ ქართველი ჰქონდა. მომესალმნენ ისინი მშვენი რი ქართული ენით და გამაცნეს თა ვიანთი თავი. ერთი იყო **იუნუ ეფენდი ყარსიდ ოღლი წულუკ ძე**, მეორე **ქემალ ნულაიდელი** ჩ **ჯავაძე**. გამოვესაუბრე. ბევრი სა ყურადღებო ამ მიამბეს და გავაც ნობ მკითხველებს ჩვენს საუბარს.

— სწავლა განათლება—სთქვა წუ ლუკიძემ—მიმიღია ოსმალეთში სტამ ბოლის აკადემიაში გვასწავლიდნ ოსმალურსა და არაბულს, მხოლოდ საგნების სწავლება სულ ოსმალურ რად არის.

— როგორ გეპყრობიან ქართვე ლებს ოსმალეთში?

— ქართველები ძლიან მიღებულ ნი არიან. მაგრამ ოსმალები არას დროს არ გვეტყვიან ჩვენ „თათრე ბიო“, როგორც ზოგიერთი ქართვე ლი ამბობს ხოლო ჩვენ ყველას „გურჯს“ გვეუბნებიან. აქ კი ქარ თველებისაგან გვასხვავებენო—სთქვა გულნატკენად წულუკიძემ.

— ბევრია ოსმალეთში ქართველი?

— ძლიერ ბევრი. სტამბოლში დ დიდ ქალაქებში ამ არიან, მაგრამ ბევრი არიან აგრეთვე სოფლებშიაც განსაკუთრებით შავი ზღვის კიდეზე სულ გამაჰმადიანებულნი არიან მხოლოდ ქართული ენა დარგავაციათ, ბევრს თათრულიც კი არ ესმის ხეირიანად. დარჩენილა ძველებური ადათები, ჩვეულებანი, აგრეთვე ზოგიერთი სიმღერაც. [illegible] ათი ათასამდე იქნება. სოფლებში მილიონამდე ქართველი იქნება. უმეტეს ნაწილად ქართველები დასახლებულია სამ გუბერნიაში. მე პირადად დავიარე და ვიცი, რომ ქართველები სცხოვრობენ: ათინაში (ძველ თრაპიზონი)—200 კომლი, ტრაბიზონში—300-მდე კომლი, გირესონში 1000, ფაცაში 4000, ჩერშემაში—200 უნიაში—3000, სამსუნში—1500, ს ნოპში—2000, ბურსაში—6000, იზმი ში—4000 და ბევრ. სხვაგან. ტრაპ ზონის ვილაიეტში კი მოსახლეობ ლაზები; მათი რიცხვი ნახევარ მილ ონამდე იქნება.

— ქალაქებში ურთიერთ შორ რაიმე დამოკიდებულება და კავში აქვთ თუ არა?

— სამწუხაროთ ძლიერ დაქს სულნი არიან. ხვდებიან კი ერთ ნეთს კაფეში და სტუმრადაც და რებიან ერთი მეორეში, მაგრამ რ მე სულიერი კავშირი, კულტურუ არ არსებობს. საერთო საქმე შეუძლიანთ რა, გვინდოდა ყავახ გახსნა. იქ იქნებოდა მხოლ ყავა. გამოვიწერდით ქარ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს. და წმუნებული იყავით, რომ აქ თველები მუდამ შევიკრიბებ და ერთად ვიქნებოდით. მაგრამ ჯერობით საქმე ვერ მოწესრიგ ხალხში ძლიერ გაიღვიძა შეგნებ ყველასა ჰსურს შეისწავლოს თავ სამშობლოს საქართველოს ამბ წარსული და აწმყო. აგრეთვე დ ენა შეისწავლოს, მაგრამ არ არც მასწავლებელი, არც წიგნ იშოვება. იქ უნდოდათ, რომ ქ თული სკოლა ყოფილიყო. ხა ჩივის აგრეთვე, რატომ ერთი თული გაზეთი არ გამოდისო ყ

მის მეთაური უნდა და ასეთი კაცი არ გამოჩნდა.—ჩვენთვის, კურს დამთავრებულთათვის, ყველაზე სამწუხარო ისაა, რომ აკადემიაში ქართულს არ ასწავლიან და ჩვენც სხვაგვარი შეძლება არა გვქონდა ქართულ ენის შესწავლად. ეხლა მე მოველ და დავრჩები ქუთაისში. მინდა კარგად შევისწავლო ქართული გრამატიკა, ისტორია და გეოგრაფია.“

ქემილ ნულაიდელი ჩიჯავაძე კობულეთის მხარის მცხოვრებია. იგიც ყოფილა ოსმალეთში და ეხლა კი ხალხთან აქვს პირდაპირ დამოკიდებულება. სხვათა შორის მან ძალიან საინტერესო რამ გადმომცა:

— კობულეთის მხარეში ერთი ქართული სასწავლებელი არ არსებობს და ხალხი სამშობლო ენას ვერ სწავლობს. გაგვიხსნეს სამინისტროს სკოლები, მაგრამ მასწავლებლები სულ რუსები არიან. ისინი ქართულს, როგორ გვასწავლიან, როდესაც ძველებური სახელებიც კი რუსულად შეგვიცვალეს. რა დროიდან არის კობულეთს კობულეთი ჰქვიან. ეხლა კი „სმეკალოვკა“ დაარქვეს. ყიდულობენ მიწებს და ასახლებენ რუსებს. ბედნიერები ვიქნებით ერთი ქართული სასწავლებელი რომ გვქონდეს და მასწავლებელი ცოლიანი იყოს. ერთი ქართველი ქალი, რომ მამოიყვანოს კარგია ძალიან. ჩვენი ქალები კარ-ჩაკეტილნი არიან; გარედ არ გამოდიან. მასწავლებლის ცოლს შეეძლება ასწავლოს ქალებს ჭრა-კერვა და ხელსაქმე.

დასასრულ იმედი გამოსთქვეს, რომ ეხლა გაიღვიძა ხალხმა და თანდათან განმტკიცდება მათში ქართველური სული.

ესენი ჩამოსული იყვნენ ტფილისში როგორც დეპუტაციის წევრები, რომელთაც ინახულეს **აკაკი წერეთელი** და სთხოვეს მას, ეწვიოს მათ მხარესაც და დაინახოს იქაურ ხალხს, რომელთათვისაც იგი ისეთივე სათაყვანოა, როგორც ყოველი ქართველისათვის. როგორც ვიცით მგოსანმა ამის თანხმობა გამოაცხადა.

გ.

ქართული პრესა

„ჩვენი ერი“ დასელების ზოგიერთი ბრალდების გამო სწერს:

„სოც.-ფედერალისტებს აწბილებენ, რომ მათ წერა-კითხვის საზოგადოების საწევრო გადასახადი მანეთამდე არ შეამცირეს, რომ მით დემოკრატიის შემოქმედებას თავისი ნაყოფი გამოეღო სახალხო დაწესებულებაშიო. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სარევოლიუციო დაწესებულება არ არის. დიმიტრი ყიფიანს, ლოლობერიძეს, გოგებაშვილს და სხვ. იგი პოლიტიკური მიზნებისთვის როდი დაუარსებიათ. წ.-კ. საზოგ. უპირველეს ყოვლისა წმინდა კულტურული დაწესებულებაა, ეროვნულს ნიადაგზე დაფუძნებული და ჩვენ, როგორც პოლიტიკური მოღვაწენი, ვეხებით მას, როგორც ეროვნულ საუნჯეს. ჩვენ მოვითხოვთ, რომ იმ საზოგადოებამ ძირფესვი გაუმაგროს აბუჩად აგდებულ ქართულ სკოლასა, ქართულ მწიგნობრობას, ცნობიერების გავრცელებას... ჩვენთვის იგი წმინდა საგანმანათლებლო დაწესებულებაა და სრულიად დამოუკიდებელი ჩვენს პოლიტიკურ საქმეებისაგან. ამ უკანასკნელთა შედარებით იგი ერთობ სეპარატიული ქმნილებაა და მით ჩვენ სრულიადაც არ ვცდილობთ ჩვენი დოქტრინის სამსახურს.

კეთილი და პატიოსანი!—გვეტყვის დასელი, სწორედ საგანმანათებლო საქმეებისათვის არის საჭირო „ცენზის“ შემცირება, დაწესებულებაში მასის შემოყვანაო. მეათიათასჯერ ვაცხადებთ, რომ ჩვენ მასის წინააღმდეგი არა ვართ, მასას რომ ვუფრთხოდეთ, გვერდს ავუხვევდით და მთელ ჩვენს სასოებას მასის იმედზე არ დავამყარებდით. ჩვენ მასას მოვუწოდებთ არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ კულტურაშიც. მაგრამ დღეს-დღეობით, თანამედროვე რუსეთ-საქართველოს რეალურ ძალთა-განწყობილებაში პოლიტიკური რეაქციის ხანაში, ჩვენ საჭიროდ დავინახეთ შემდეგი ლოზუნგი წამოგვეყენებინა—დავიცვათ ეროვნული კულტურა! სწორედ ისე, როგორც მენშევიკ-სოციალ-დემოკრატები 1906-7 წ. წ. სათათბიროს დაცვაზე ლაღადებდნენ. ჩვენ ვიცავთ ეროვნულ კულტურას არა მასისაგან, ამმედ რეაქციისაგან, დიდ თავყრილობას გავურბივართ მაშინ, როცა ხელთ არა გვიქირავსრა. ხოლო ქუჩაში ტყვიათა ზუზუნ-ზუზუნია.

⁂

გაზეთი **„აზრი“** ამბობს ტირიფონის ველიდან გლეხების აყრის შესახებ: 1906 წ. 14 მაისს, როცა სათათბირომ მოითხოვა მემამულეთაგან იძულებით მიწის ჩამორთმევა, მთავრობამ გადაჭრით განაცხადა, კერძო საკუთრება წმინდათა წმინდაა და ვერავინ შეეხებაო. ხოლო იგივე მთავრობა მოურიდებლად ერეკება გორის მაზრის გლეხებს მამაპაპეული ადგილებიდანო.

„კერძო საკუთრება კარგი და ხელსაყრელია, როცა საქმე ეხება თავად-აზნაურობის კეთილდღეობას, როცა ამას მოითხოვდნენ პურიშკევიჩებისა და მარკოვების, შირინსკი-შიხმატოვებისა და არლოვ-დავიდოვების, მაჩაბლებისა და ერისთავების ინტერესები. სულ სხვაა „დაბალი ხალხი“—გლეხობა და ტირიფონის ველიც უმთავრესად გლეხობას ეკუთვნის“.

გლეხები ხომ ფორმის ტანისამოსით არ არიან გამოწყობილნი, არამედ ფარაჯით ძლივს იფარავენ ტანს. მათ ხომ მილიონი დესეტინა ადგილ-მამული არ შეუძენიათ წარჩინებულია წინაშე ლაქუცით, არამედ ოფლით მოურწყავთ ორიოდე დღიური მიწა. მაშ, ძირს მათი კერძო საკუთრება! და აი 20 ათას გლეხს ერეკებიან, არავინ იცის, საითკენ... გაზეთები იუწყებიან, რომ ზოგი თავადი სიამოვნებით თანხმდება, სამხედრო უწყებას თავისი მამული მიჰყიდოს. ეს სავსებით ბუნებრივია. აკი ამ გზით გაცილებით მეტ ფასს აიღებს, ვინემ კერძო პირზე გაყიდვით. მათ რა ენაღვლებათ სახლ-კარიდან აყრა და მათი აუწერელი ვაება!..“

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

„ნოვოე ვრემიას“ გმირი მენშიკოვი მწარედ სწუხს,—რომ კავკასიაში რუსებს არ ასახლებენ ან თუ ასახლებენ უკრაინელებს და არა წმინდა რუსებს, ველიკოროსებს, ეს კი თურმე დიდს უბედურებას უმზადებს რუსეთის იმპერიას.

„თუ კავკასია არ იქნა ველიკოროსების, იგი სრულებით არ იქნება რუსების. თუ რამე აძლევს განაპირებს საიმპერიო ერთობის ხასიათს და აკავშირებს მათ სახელმწიფოსთან,—ეს მხოლოდ ველიკოროსების ახალშენები. მაგრამ, რაღაც მიზეზით ველიკოროსებს დღეს უფრო ციმბირის ჭაობებისკენ ჰგზავნიან დასასახლებლად და უცხო მხარეს, მდიდარს და მზიანს (კავკასიას) აძლევენ სხვებს—გერმანელებს, ესტებს, მოლდავანებს, სომხებს, ბერძნებს, ოსმალოებს,...

რუსის მოხელეები, რომლებიც ხშირად არა რუსთა ინტერესებს ემსახურებიან, ამბობენ: დავასახლეთ ბევრგან ველიკოროსები, მაგრამ ჰავა ვერ აიტანეს და დაიხოცნენო. ეს მართალი არაა. სადაც ველიკოროსები დაიხოცნენ, იქ წყდებიან უკრაინელებიც, მოლდაველებიც და კავკასიის ადგილობრივი მკვიდრნიც. ხოლო საცა უკანასკნელნი სძლებენ, იქ შეუძლიათ ცხოვრება ველიკოროსებსაც“.

მენშიკოვი მოუწოდებს მთავრობას, რომ დაადგეს სხვა პოლიტიკას ველიკოროსების გასაძლიერებლად და გასამრავლებლად რუსეთის განაპირა ადგილებში საზოგადოდ და კერძოდ ამიერკავკასიაში.

სახელმწიფო სათათბირო

18 აპრილის სხდომა.

როძიანკო თავმჯდომარეობს. მესამედ ირჩევა სენატის დეპარტამენტში საქმეების წარმოებისა და გადაწყვეტის წესრიგის ცვლილებათა კანონპროექტი. კანონპროექტი მიიღეს.

პროტოპოპოვი მოახსენებს სათათბიროს კანონპროექტს, რომლითაც თურქესტანისა და ტრამის საგენერალ-გუბერნატოროსა, ტომსკისა და ენისეის გუბერნიებში ჩინეთიდგან და მონღოლეთიდგან უბაჟოდ შემოიტანონ საქონელი. მომხსენებელი აღნიშნავს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კანონპროექტს პოლიტიკური და ეკონომიური მხრივ.

კანონპროექტი მიიღეს.

ტერენინი მოახსენებს, რომ ფინანსიურმა კომისიამ სასურველად სცნო საკანონმდებლო წინადადება, რომლითაც სამხრეთ-აღმოსავლეთის რუსეთში 28 თებერვალს ქარიშხალისგან დაზარალებულთ უსარგებლო სესხადა და დახმარებად უნდა გადაეცეს 50000 მანეთი. სათათბირომ ეს კანონპროექტი სასურველად სცნო.

ბუბლიკოვი მოახსენებს კანონპროექტს, რომლითაც ნება ეძლევა ხაზინის ხარჯით და განკარგულებით გამოკვლევა მოახდინოს ტომშევის რკინის გზისა.

კანონპროექტი მიიღეს.

სწრაფის წესით ერთხმად მიიღეს კ. დ. მიერ შეტანილი შეკითხვა ერობის უფროსის კრილოვისა და სარატოვის გუბერნატორის უკანონო მოქმედების შესახებ.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

სახელმწიფო საბჭო

18 აპრილის სხდომა

აკიმოვი თავმჯდომარეობს. საბჭომ ფეხზედ ადგომით პატივ სცა საბჭოს გარდაცვალებულ წევრის ტუმაუს ხსოვნას. უკამათოდ მიიღო მესამე სათათბიროს მიერ მიღებული და საბჭოს მიე 1913 წელს განხილული ორი კანონპრექტი, პირველ ღვინის შესახებ, და მეორე—სამკურნალო ადგილების სანიტარულ მდგომარეობის შესახებ. შემდეგ საბჭოს საერთო კამათი ჰქონდა სახალხო სიფხიზლის სამზრუნველობის ახალ ორგანიზაციის კანონპროექტის შესახებ. ამ კამათის დროს საბჭოში თავმჯდომარედ **გოლუბევი** იყო. კანონპორექტის შესახებ კამათი არ დაუმთავრებიათ. შემდეგ სხდომის დღე ცალკე უწყებით იქნება გამოცხადებული.

ამ ნომერში ექვსი გვერდია,

ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **წირვა და პანაშვიდი დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებლად.** დღეს 20 აპრილს, მამადავითის ეკლესიაში ქართველთა შორის წ.-კითხვის საზოგადოებისა და თავად-აზნაურობის დეპუტატების საკრებულოს თაოსნობით გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულ დიმიტრი ყიფიანის სულის მოსახსენებლად.

✦ **მოწაფეთა ნახატების გამოფენა.** დღეს დილის თერთმეტ საათზე ქართულ გიმნაზიის შენობაში გაიხსნება ამ გიმნაზიის მოწაფეთა ნახატების გამოფენა ნახატები ეკუთვნის 1913—1914 სამოსწავლო წელს. გამოფენის დათვალიერება ყველას შეუძლიან უფასოდ.

✦ **სავაჭრო სამრეწველო ბანკი.** ხვალიდან, როგორც ტფილისში, ისე კავკასიის სხვა ქალაქებში იწყება ხელის მოწერა კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის აქციებზე. დამფუძნებლებმა უზრუნველჰყვეს ბანკის ძირითადი თანხა და ამასთან საშუალება მისცეს სხვებსაც, რომ შეიძინონ ბანკის აქციები. პირველი შემოსატანი—26 მან. თითო აქციაზე მიიღება მხოლოდ აპრილის 21-დან 30-მდე; მეორე ნაწილი—თითო აქციაზე ასი მან. ოქტომბერში, მესამე და უკანასკნელი ნაწილი ბანკის გახსნის შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში. ბანკი გაიხსნება 1915 წლის პირველ იანვრიდან.

საორგანიზაციო კომიტეტმა მიიღო აურებელი განცხადება, რომლითაც დაიკვეთეს 3 მილიონ მან. აქციები.

✦ ტფ. ქართული დრამატიული საზოგადოება 24 აპრილიდან წარმოდგენებს გამართავს ქუთაისსა და ბათომში. წარმოდგენილ იქნება ი. გედევანიშვილის „სინათლე“ და „მსხვერპლი“.

✦ **გრ. ბურჭულაძე**, ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სკოლებისა და ბიბლიოთეკების ხელმძღვანელ-მეთვალყურე, დღეს კახეთს მიემგზავრება სკოლებისა და ბიბლიოთეკების დასათვალიერებლად.

✦ **ლეიპციგის გამოფენაზე** ქ. შ. წ.-კით. გამავრც. საზოგადოების გამგეობამ გუშინ გაგზავნა ქართულ ხელოვნებისა და ბეჭდვით სიტყვის ნაწარმოებნი.

✦ **„თეთრი ყვავილის“** დღესასწაულისათვის ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოება დიდის ამბით ემზადება. დღესასწაული 22 აპრილს გაიმართება.

✦ **ქალაქის მდივნად** გუბერნატორმა დაამტკიცა ა. ი. სტავროვსკი.

✦ რედაქციამ მიიღო ჟურნალი **„განათლების“** მეოთხე ნომერი. ჟურნალს დამატებად აქვს ა. ყარაშვილის მიერ ნოტებზე გადაღებული აკაკის ლექსი პატარა მურია.

✦ როგორც გავიგეთ, ირკუტსკის საგუბერნიო ციხეში **მრავალი ქართველი ტუსაღია.** ყოველწლობით არის არა ნაკლებ 100—150 კაცისა.

✦ **კ. ბალმონტი** მსახიობს ვ. ურუშაძეს ქუთაისს მიჰყავს ლექციების წასაკითხავად.

✦ ჩვენს რედაქციას გუშინ ესტუმრა **ფეხით მოგზაური ხ. ოვანესოვი,** როსტოვის ნახიჩევნელი, რომელსაც სანაძლეო დაუდვია ინგლისელებთან, რომ ქვეყანას უნდა შემოუაროს და გაიროს 125 ათასი ვერსი. თავი უნდა ირჩინოს მხოლოდ თავისი სურათების გაყიდვით. მას მოგზაურობა დაუწყია ლონდონიდან 1912 წელს, შემოუვლია ევროპა და დღევანდლამდე 50 ათასი ვერსი გაუვლია. თუ სანაძლეო მოიგო, უნდა მისცენ 50 ათასი დოლარი. იგი ტფილისიდან ბაქოსაკენ მიემგზავრება.

საზოგადოება და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 21 აპრილს მოხდება.

გორი

✦ ხუთშაბათს, 17 აპრილს, დილით კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა ადგილობრივ ქალთა გიმნაზიის მეექვსე კლასის მოწაფემ ხიზანოვამ. (სომეხია), რომელიც გამოცდის დროს ფიზიკაში ჩაჭრილა. იგი მაშინვე გარდაიცვალა.

კავკავი

✦ **საშინელი უბედურება.** 15 აპრილს, დაახლოვებით დილის 9 საათზე, **ჩამოინგრა** ახლად შენებული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი სახლი, რომელიც ძმებს ლისიცევებს ეკუთვნის. უბედურების დღეს სახლზე მუშაობდა 15—20 კაცი. დილის 8 საათზე მუშებმა შეისვენეს; ზოგი სასაუზმოდ წავიდა, ზოგიც იქვე შეუდგა საუზმეს. ამ დროს უეცრად გაისმა საშინელი ხმაური და ქუჩა მტვერით აივსო; ჩამობნელდა. კაცი ვერაფერს გაარჩევდა. გაისმა გულ-შემზარავი ყვირილი და კვილ-წივილი. ზემო-სართულიდან ჭერი ჩამოწოლილიყო. ზემო სართულში მყოფი მუშები ფანჯრებიდან გადმოხტნენ. ქვემო სართულში მომუშავე ნანგრევებქვეშ მოჰყვნენ. წამსვე მოვიდა პოლიცია და ცეცხლის-მქრობელი რაზმი. შეუდგნენ დამარხულ მუშების ძებნას. დიდხანს სძებნეს. ნანგრევ ქვეშ ხშირად ისმოდა გულშემზარავი ოხვრა მომაკვდავ მუშებისა. გამოთხარეს რამდენიმე მუშა მძიმედ დაშავებული. როგორც გამოირკვა უბედურების მსხვერპლი შეიქნა 6 მუშა, მათ შორის ერთი ქართველი. ყველანი ქალაქის საავადმყოფოში გაგზავნეს. საშინელი სურათია! უბედურებისაგან დამახინჯებულ მუშების ტანჯვა-წვალება აუწერელია! ზოგს თავი აქვს გატეხილი, ზოგს ფერდები დამტვრეული, ზოგს ხელები, ფეხები და მთელი ტანი; არც ერთს ლაპარაკი არ შეუძლიან. ისმის მომაკვდავთა უკანასკნელი სულის დაფევა... უბედურების მსხვერპლთა გადარჩენა საეჭვოა.

დეპუტატები ჩხეიძისა და კერენსკის საქმე.

ამ უკანასკნელს დროს დიდს საფრთხეს განიცდის სახელმწიფო სათათბირო, მისი თავისუფლება და უფლება თანდისთან ვიწროვდება, და შეიძლება ჩქარა მხოლოდ სახელით და დარჩეს საკანონმდებლო დაწესებულებად. სააღდგომო უქმეებში სახელმწიფო სათათბიროს წევრმა ბარონმა ტაუბემ სენსაციური განმარტება მისცა, თუ როდისა აქვს სათათბიროს კანონმდებლობითი ინიციატივის უფლება. ამ განმარტებით სათათბიროს უფლება თითქმის არარაობაზე ჩამოდიოდა. ეხლა კიდევ მას სხვა საჩუქარიც უძღვნეს. ეხლა განსაცდელშია დეპუტატთა სიტყვის თავისუფლება, მინისტრთა საბჭომ „სახელმწიფო სათათბიროს დაწესებულებათა მეთოთხმეტე მუხლის ახალი განმარტება წამოაყენა, და ეს განმარტებაც დეპუტატთა სიტყვის თავისუფლებას თითქმის აუქმებს. მინისტრთა საბჭომ საკითხი აღძრა, რომ დეპუტატები ჩხეიძე და შრომის ჯგუფის წევრი კერენსკი უმაღლესს სისხლის სამართალში მისცენ იმ სიტყვების გამო, რომლებიც მათ სათათბიროს ტრიბუნიდან წარმოუთქვამთ. ორთავე დეპუტატებს სამართალში აძლევენ 129 მუხლის ძალით, ამასთანავე ჩხეიძეს ბრალად ედება რესპუბლიკური წეს-წყობილების ქება, წინააღმდეგ მონარქიული წეს-წყობილებისა 11 მარტს შრომის სახლების კანონპროექტის განხილვის დროს. კერენსკის კი ბრალად ედება მოწოდება არსებულ წეს-წყობილების დასამხობად შევჩენკოს დღესასწაულის აკრძალვის შესახებ შეკითხვის გარჩევის დროს.

ამ გვარი ბრალდება დეპუტატებისა პირველია სათათბიროს არსებობაში.

მეთოთხმეტე მუხლის ახალი განმარტება ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს ნ. ა. მაკლაკოვს. მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს წინადადება და პრინციპიალურად დაადგინა, რომ დეპუტატები პასუხისმგებლები არიან იმ სიტყვების გამო, რომლებსაც ისინი სათათბიროს ტრიბუნიდან ამბობენო.

მინისტრთა საბჭოს აზრით, რუსეთის კანონებში სიტყვის თავისუფლება განუსაზღვრელი არ არის და დეპუტატებიც თავიანთ სიტყვების გამო პასუხს არ აგებენ მხოლოდ იმ ფარგალში, რომლებიც კანონის მიერ განსაზღვრულია, ე. ი. რამდენადაც სათათბიროს ტრიბუნაზე გამოსვლა სისხლის დებულების კანონებს არ არღვევს.

რუსეთის ძირითადი კანონები, რომლებიც სიტყვის თავისუფლებას აღიარებენ განურჩევლად ყველა მოქალაქისთვის, რამდენადაც ისინი არ ეწინააღმდეგებიან არსებულ წესებს, არავითარ გამონაკლისს არ წარმოადგენენ დეპუტატებისთვის.

სხვაგვარი განმარტება „სახ. სათათბიროს დაწესებულებათა“ მეთოთხმეტე მუხლისა ეგვანებოდა დეპუტატების უფლების მიჩნევას, რომ მით სათათბიროს ტრიბუნა ბოროტი აგიტაციისთვის გამოიყენონ. ამ გვარადვე განმარტა სენატმაც, როცა მან ცილისწამებისთვის სამართალში მისცა 33 დეპუტატი, რომლებმაც კარაჟაევის სიკვდილის შესახებ შეკითხვას ხელი მოაწერეს.

სახ. სათათბიროს ყოველი წევრი იმავე დროს კერძო და თანამდებობის პირია. ამიტომ იგი თავრიდის სასახლის გარეშე, როგორც ყველა მოქალაქე ისევეა პასუხისმგებელი. ხოლო იმ სიტყვების გამო, რომელსაც იგი სათათბიროში ამბობს, მას ასამართლებენ უმაღლესი სისხლის სამართლით. ეს არის მთელი განსხვავება კანონმდებელსა და უბრალო მცხოვრებლის შორის.

სათათბიროს სრულად სხვა და სხვა ფრაქციის დეპუტატები ამბობენ, რომ მინისტრათა საბჭოს დადგენილება სათათბიროს დასასრულის დასაწყისიაო. ძნელია, ადამიანმა წარმოიდგინოს დეპუტატის იმისთანა სიტყვა, რომელიც მმართველობის მოქმედების კრიტიკას არ წარმოადგენდეს, და რომლის გამოც არ შეიძლებოდეს პასუხის გებაში მისცენ დეპუტატი, რადგანაც შეიძლება ყოველი სიტყვა მიიჩნიონ, როგორც ყალბი, მთავრობის ნდობის დამკარგველი ცნობების გავრცელება. ბევრს დეპუტატს არც კი სჯერა, რომ ჩხეიძესა და კერენსკის სამართალში მისცემენ. სათათბიროს სხვა და სხვა ფრაქციების წევრები ერთხმად ამტკიცებენ, თუ მართლა მთავრობამ ჩხეიძე და კერენსკი სამართალში მისცა, სათათბირო დიდს წინააღმდეგობას გაუწევსო. იმის შესახებ ლაპარაკი, რომ ეს ორი დეპუტატი დროებით გამორიცხონ სათათბიროდან, შეუძლებელიაო.

ეხლა საქმე მხოლოდ ისაა, თუ ჩხეიძე და კერენსკი უმაღლესმა სასამართლომ დამნაშავედ იცნო, მაშინ როგორ მოიქცევა სათათბირო.

„სახ. სათათბიროს დაწესებულებათა“ მეთოთხმეტე მუხლი, რომელიც ეხლა განმარტა მინისტრთა საბჭომ, ამბობს: „სახელმწიფო სათათბიროს წევრები სრულიად თავისუფალნი არიან თავიანთ მსჯელობისა და აზრებში იმ საქმეების გამო, რომლებიც სათათბიროს ეხება, და ვალდებულნი არ არიან ანგარიში მისცენ თავიანთ ამრჩევლებს“.

როგორც დეპეშით გვატყობინებენ, დეპუტატები სამართალში მიუციათ და მათი საქმე 19 აპრილს გაირჩევა. დეპარტამენტის სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ ნ. ა. მაკლაკოვი, ი. გ. შჩეგლოვიტოვი ან ვ. ი. ვერიოვკინი.

დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრ. სააგენტოსაგან).

19 აპრილი

უცხოეთი.

ლონდონი. ამბობენ, ნაციონალისტების ბელადი რედმონდი და ულსტერელებისა—კარსონი კომიტეტმა მიიწვია ულსტერის საქმეებზე შესათანხმებელ მოლაპარაკებისათვის.

ათინა. სალონიკში სამის გემით 4,400 ფრაკიიდან გამოქცეული მოვიდა. 5—14 აპრილამდე 14 გემით სულ 24 ათასი მოსულა.

ტოკიო. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა განაცხადა, მექსიკელთა ინტერესებს ვერ გამოვესარჩლებით, რადგანაც მექსიკაში ჩვენი კონსულები ეხლა იქ არ იმყოფებიანო.

რუსეთი

პეტერბურგი. სენატმა გაარჩია „დაშნაკცუტუნის პარტიის 24 წევრის საქმე, რომელიც წინად გაირჩა ტფილისის სასამართლო პალატაში. პალატამ გაამართლა 10 კაცი და დამნაშავედ სცნო 14. ეს განაჩენი სენატმა დაარღვია. პალატამ მეორე განხილვის დროს დამნაშავედ იცნო მხოლოდ 5 კაცი, დანარჩენები კი გაამართლა. დასჯილთა საკასაციო საჩივარში ნათქვამია, წინასწარი გამოძიების დროს სიყალბეა ჩადენილიო, რომლებიც სენატმა პირველი კასსაციის დროს მხედველობაში არ მიიღო. ის ფაქტები, რომლებიც კასაციურ საჩივარშია მეორედ განხილვის დროს არ გამეორდებიან. პალატამ მაინც არ შეიწყნარა დამცველთა შუამდგომლობა ახალ წინასწარ გამოძიების შესახებ. დამნაშავეთა საჩივრის გარდა სენატმა მიიღო ბრალმდებელის პროტესტიც გამართლებულთა შესახებ. განაჩენს ერთი კვირის შემდეგ გამოაცხადებენ.

ერივანი. აქ მდგომი ბაქოს პოლკის ბატალიონის ჯარის-კაცებმა ამ რამდენიმე თვის წინად ერთს საროსკიპო სახლში ალიაქოთი ასტეხეს, გამოიწვიეს კომენდანტის აფიცერი. რადგანაც ჯარისკაცებმა მათი მოთხოვნილება არ შეასრულეს, აფიცერმა იარაღს მიმართა, ერთი ჯარისკაცი მოჰკლა, მეორე დასჭრა. დანარჩენი 23 სამხედრო-საოლქო სასამართლოს მისცეს. სასამართლომ 6 გაამართლა; 17 მიუსაჯა: 2 უვადო კატორღა, დანარჩენთ კატორღა რვიდან ოთხ წლამდე.

რიგა. რადგანაც ახალი სტილით უკვე 1 მაისი იყო, ამ დღეს რიგაში გაიფიცნენ ქარხნისა და ბევრი წვრილი წარმოების მუშები. გაიფიცა 850 ნავთ-საღებურის მუშაც. მუშებს უნდოდათ ქარხნებიდან გამოსვლის დროს დემონსტრაცია გაემართათ, მაგრამ პოლიციამ გაჰფანტა. გაფიცულთა საერთო რიცხვი 40000 იყო.

პეტერბურგი. 1 მაისს, ახალი სტილით, უნდოდათ ზოგიერთებს გაფიცვა მოეხდინათ, მაგრამ არ მოხდა. მუშაობა წესიერად მიდიოდა.

ვარშავა. 1 მაისს, გაიფიცა 80 ქარხნის 11000 მუშა.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა. დღეს ქართულს თეატრში წარმოდგენილი იქნება შექსპირის დიდებული ტრაგედია „ოტელო“ ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნი. მთავარი როლები განაწილებულია ბ-ნ ვ. გუნიასა, იმედაშვილსა, ზარდალიშვილსა, შალიკაშვილსა და სხვათა. დეზდემონას როლს შეასრულებს მ. მდივანი.

ქართულ დრამატიული დასის გამგზავრება. როგორც ამბობენ ქართული დასი ორშაბათიდან გაემგზავრება დასავლეთ საქართველოსკენ, თუ კი თეატრები დასისთვის საჭირო დღეებს თავისუფალი იქნებაო. პირველი წარმოდგენა გაიმართება ქ. გორში და მერე გზა და გზა ქუთაისში, სამტრედიაში, ფოთში და ბათომში.

ბედიის მონასტერი

(მისი განახლების გამო)

სოფელი ბედია მდებარეობს სამურზაყანო-აფხაზეთის სამზღვარზე ოჩემჩირედან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით. აქვს სამაგალითო მდებარეობა და დაჯილდოვებულია ბუნების ყოველგვარი სიმდიდრით. ამ სოფელში დაცულია დიდებული ისტორიული ძეგლი, უსიტყვოდ მრავლის მეტყველი ჩვენი წარსული კულტურის შესახებ. ეს არის ბედიის დიდებული ტაძარი, რომელიც ამაყად გადაჰყურებს მაღლობ მთიდან მთელ სამურზაყანო-აფხაზეთს და მატყვევლად ეჩვენება მგზავრს რამოდენიმე ვერსის სიშორიდან. ტაძრის გალავნიდან თვალ-წარმტაცი სურათი ეშლება ადამიანს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მედიდურად აღმართულან სვანეთის მთები, აღმოსავლეთით—მთელი სამურზაყანოს ტურფა მიდამოები, დასავლეთით—აფხაზეთის ლაღი ბუნება, მხოლოდ სამხრეთით—შავი ზღვის სანაპირო გაშლილი ველი და თვით შავი ზღვა.

ასეთია მდებარეობა ბედიის ტაძრისა!

იგი აგებულია ვლახერნის ღვთისმშობლის სახელობაზე მეათე საუკუნეში გაერთიანებული საქართველოს მეფის **ბაგრატ** მესამის მიერ (მეფობდა 890—1008 წ.), რომლის დედა **გურანდუხტი** აფხაზეთის მეფის გიორგი მე-2 ასული იყო*). საუკეთესო დამატკიცებელი საბუთი ამ ფაქტისა არის ამ ტაძრის ძვირფასი, ყულაბი ოქროს-ბარძიმი, რომელიც დღეს ინახება ცნობილ ილორის წ. გიორგის ეკლესიაში (იმავ სამურზაყანოშია) და რომლის წარწერებში (წაკითხულია ბაქრაძის მიერ 1865 წ.) მოხსენებულნი არიან ბაგრატ მე-III და დედა მისი გურანდუხტი, როგორც აღმაშენებელნი ხსენებულ ტაძრისა და შემწირველნი ამ ემბაზისა. ამ ემბაზს დაკარგული აქვს ფეხი წარწერით, სადაც მოხსენებული ყოფილა ბედიელი მიტროპოლიტი გერმანე ჩიტიძე.

წარწერები არის თვით ტაძარშიაც. დასავლეთის კედლის კუთხის ქვაზე იხსენება (წაკითხულია ბროსსეს მიერ 1848 წ.) კალატოზთა უფროსი-აღმაშენებელი ტაძრისა ვინმე სიმონი. სამხრეთის კედელზე ერთ ალაგს წარწერაა, სადაც იხსენება ერისთავთა-ერისთავი გიორგი დადიანი, რომელიც აკადემიკოს ბროსსეს აზრით უნდა იყოს გიორგი მე-III—(მართავდა 1572—1582) შვილი ლევანისა. ტაძრის დასავლეთით, იქ, საიდანაც იწყება გალავანი, ამართულია გვარიანად მოზრდილი შენობა, რომლის ზედა სართული, დღეს უკვე აღარ არსებული, აკად. ბროსსეს აზრით, უნდა ყოფილიყო ბედიელი მიტროპოლიტის სადგომი, მხოლოდ ქვედა სართული, რომელიც დღესაც დაცულია,- მიტროპოლიტის კრებულის სასადილო. ამ შენობას დასავლეთის მხრით შესავალ კარების თავზე აწერია: „ადიდენ ღმერთმან მეფეთა-მეფე კონსტანტინე ძე დავითისა. ამინ“; აღმოსავლეთის მხრით კი არის შემდეგი წარწერა: „აღმაშენებელი პალატისა ამის მე მიტროპოლიტი ანტონი“.

თვით ტაძარი ვეებერთელა შენობაა. ნაშენია მშვენიერი თლილი ქვით შიგნით და გარეთ და დღეს ნახევრად დანგრეულია; გუმბათის თავი სრულიად აღარ აქვს, მხოლოდ ცხადად ჩანს დასაწყისიდან, რომ გუმბათი თორმეტ კუთხიანი ყოფილა. დანარჩენი ნაწილები ტაძრისა იმდენად არიან დაცულნი, რომ ტაძრის განახლება ძველის გეგმის მიხედვით არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. იატაკი აქვს ქვისა და კედლებზე კიდევ მოსჩანს ძველებური მხატვრობა.

როდიდან არის ბედიის ტაძარი ამ მდგომარეობაში და როდის იწყება მისი დაცემის ხანა—არ ვიცით. ეს კი ცხადია, რომ ტაძარი დიდხანს დარჩენილა შეურყეველი, რადგან 1816 წელს მასში განუახლებიათ ღვთის მსახურება. არ ვიცით აგრეთვე თუ როდემდინ გაგრძელდა ეს განახლების ხანა. ბედიაში ყოფილა მიტროპოლიტის კათედრა, როგორც ეს ზევით აღნიშნული წარწერებიდან სჩანს. და რომ აქ ეპისკოპოსის კათედრა მაინც იყო—ეს სხვათა შორის იქიდანაც ცხადია, რომ როდესაც მეფე გიორგი მე III დროს მე XVII საუკ. ქუთაისში იყო შეყრილი კრება ზნეობრივ საკითხების განსახილველად—იქ იყო სხვათა შორის ბედიელი ეპისკოპოსიც. ამასვე ამტკიცებენ მოგონებანი რუსეთის ელჩისა ელჩინისა, რომელმაც ბედია ინახულა 1640 წელს და რომელიც თავის მოგონებებში იხსენიებს ძვირფას კვერთხს არქიელისას. ეს კვერთხი ნახევრად დაფარული იყო მშვენიერი ხავერდით; ხავერდზე გამოხატული იყო ჯვრები მეფე კონსტანტინე დიდისა და დედა მისის ელენესი; ხავერდ ქვეშ კი, არქიელის სიტყვით ინახებოდა ეკლის გვირგვინი და ლურსმანი, რომლითაც იყო მიჭედილი ქრისტე.

ასეთია მოკლედ ისტორიული წარსული ბედიის ტაძრისა.

ხალხის გადმოცემა კიდევ უფრო შორს მიდის და ბედიას სთვლიან საცხოვრებელ ადგილად მეგრელებთა მითიურ მამამთავრის ეგროსისა.

რაღას წარმოადგენს დღევანდელი ბედიის მონასტერი? ამ ხუთი წლის წინად იგი სრულიად გავერანებული იყო და ღვთის ანაბარად მიგდებული. მხოლოდ რამდენიმე წლის წინად იქ დაბინავდა მხნე მუშაკი, სამშობლოს ძლიერი მოყვარე და ყოვლად სათნო ადამიანი მ. იოსებ შელია, რომელიც დღეს მღვდელ მონაზონის ხარისხშია. იგი დიდი გამოცდილი ადამიანია, ნამოგზაურებია მრავალ ადგილებში, საკმაოდ დიდი ხანი დაუყვია ძველ ათონზე ქართველთა სავანეში და ბოლოს განუზრახავს ბედიის ტაძრის აღდგენა და იქ მონასტრის დაარსება. მას დახმარებია სოხუმის ყოფილი მღვდელ-მთავარი ანდრია, რომელსაც ნება გამოუთხოვია და მთელს იმპერიაში ხელის მოწერა გაუმართავს ბედიის ტაძრის განახლებისთვის საჭირო თანხის შესაკრებად. სინოდს დაუმტკიცებია იგი მონასტრად და დღეს ჩაყრილია საფუძველი ახალი ცხოვრებისა ძველს ბედიაში.

მ. იოსების მაგალითისთვინ მიუბაძავსთ სხვებსაც და დღეს აქ ორი მღვდელ-მონაზონია და რამდენიმე მორჩილი. სულ 2—3 წლის განმავლობაში მ. იოსების მუყაითი შრომის მეოხებით ძველი ტაძრის მახლობლად დასავლეთით აუგიათ მშვენიერი კოხტა ეკლესია, რომელიც ეპისკოპოს ანდრიას უკურთხებია 1912 წ. 26 აპრილს და რომელშიაც დღეს სრულდება ღვთის მსახურება. ტაძრიდან ჩრდილოეთის მხრით კლდეში აგებულია მეორე ახალი ეკლესია, რომლის კურთხევაც გადაწყვეტილია მიმდინარე წლის 9 მაისს. აგრეთვე საკურთხებლად გამზადებულია თვით ძველი ტაძრის პატარა საკურთხეველი -„სამხრეთის მხრით, რომელიც კოხტადაა განახლებული.

ტაძრის გალავნის მახლობლად მ. იოსებს საკუთრის შრომით აუგია მოზრდილი ხის შენობა ბერების სენაკებით, სადაც დღეს ისინი ცხოვრებენ. მონასტერს აქვს საკუთარი სახნავ-სათესი ადგილებიც.

დარჩენილა მხოლოდ განსაახლებლად ბედიის უმთავრესი დიდი ტაძარი, რომლისთვისაც ამ ჟამად თავდავიწყებით იღვწის ბედიის მონასტერში ახალი ცხოვრების დამწყები მ. იოსები. მაგრამ მას სჭირია დახმარება, როგორც ქონებრივი-ისე ზნეობრივიც. საზოგადოებამ მას ყურადღება უნდა მიაქციოს და დამხმარე ხელი გაუწოდოს, რადგან საყვარელ ბედიის ტაძრის განახლება კვლავ შეაერთებს აფხაზეთ-სამურზაყანოს თავის გარეშემო.

—„თუ ეს ტაძარი განვაახლეთ—მითხრა მ. იოსებმა მცირე საუბრის დროს—ეს კუთხე საქართველოს არ დაეკარგებაო“. შეიძლება ბევრს ეს სიტყვები გადაჭარბებულად ეჩვენოს, მაგრამ ვინც დაჰკვირვებია ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებას, უეჭველად დაინახავს ამ სიტყვების სიმართლეს. განაახლეთ ბედიის ტაძარი, მიეცით მას პირველყოფილი სახე, გაისმას შიგ ტკბილი ქართული ენა, რომელიც დღეს მთელი სამურზაყანოს სკოლებიდანაც კი განდევნილია და დაინახავთ, როგორ სწრაფად შეაკავშიროს მან სამურზაყანო აფხაზეთის მკვიდრნი თავის გარშემო და შეაყვაროს მათ სამშობლო ენა, სამშობლო კერა!

დღეს ეს კუთხე სრულიად დავიწყებულია: აქედგან არავინ ზრუნავს მისთვის, ადგილობრივ ინტელიგენტთა ძალა არ არსებობს, ქართული ენა აღარ გაისმის არც სკოლაში, არც ეკლესიაში, არც სხვაგან და ამ გვარად ეს კუთხე თანდათან შორდება მშობლიურ კერას-საქართველოს. ეს მოსაზრება უნდა გვამოქმედებდეს მაშინაც კი, ხალხის რელიგიურ გრძნობის მოთხოვნილებას ანგარიშს რომ არ უწევდეთ.

ბედიის ტაძარი უტყვი ძეგლია ერთ და იმავე დროს როგორც ჩვენი წარსული ბრწყინვალე კულტურისა ისე ჟამთა სრბოლისაგან შელახძლული ჩვენი ისტორიისა და თუ ყოველი კულტურული ერი ძვირფას ძეგლებს აგებს იმ ისტორიულ ადგილებზე, რომელნიც მოწამენი არიან ერის ბრწყინვალე წარსულისა, ჩვენ გულ-გრილად როგორ უნდა შევყურებდეთ საუკუნოების წიაღში აგებულს, მრავალ დროთა მოწამეს საუკუნოებით უვნებლად მდგარს, მხოლოდ ბოლოს დროს ჩვენისავე დაუდევრობით შეურაცხოფილს დაუფასებელს ძეგლს, რომლის განახლება არც თუ ეგრე ძნელია?!,

—„ერთი სანდო კაცი მომეხმარეთ და მაშოვნიეთო, რომელიც მონასტრის წინამძღვრად გამოდგება და რომელსაც შემეძლოს ჩავაბარო დაწყებული და გაკეთებული საქმეო“— მითხრა მ. იოსებმა. ჩემს პასუხზე: „გამოჩნდება ვინმე“— მან მომიგო: „მანამდე ვშიშობ **ხხვა** არ გამოჩნდესო.“

გენ. ხრეითელი.

---

*) თვითონ ბაგრატ მე-III დასაფლავებულია ამავე ტაძარში, რომლის საფლავიც დღესდღეობით გავერანებულია.

უცხოეთი

ბელგიის მუშათა პარტიის კონგრესი.

აღდგომის პირველ სამს დღეს ქალაქ ბრიუსელში მოხდა ბელგიის მუშათა პარტიის მორიგი კონგრესი, რომელიც ამ პარტიის დაარსებიდან ოცდამეცხრე იყო. ამ კონგრესზე არ გაურჩევიათ არც ერთი განსაკუთრებითი პრინციპიალური მნიშვნელობის საკითხი; არ შეუმუშავებიათ ტაქტიკის ახალი საშუალება; რამე დიდმნიშვნელოვანი სიტყვები, რომელიც ჩვეულებრივ დონეს აღემატება, არ წარმოუთქვამთ. თვით საპარლამენტო არჩევნების მოახლოვებაც კი არ იყო აქ საგრძნობი. ერთი სიტყვით, ეს იყო განსაკუთრებით მოსაქმე, და, თუ გნებავთ, ძალიან უფერული კრება, რომელიც მხოლოდ პარტიის საშინაო ორგანიზაციას შეეხებოდა, და უმთავრესად კი—მისი მოქმედების მიმოხილვას წარსულს წელში.

და აი სწორედ ამ უკანასკნელ ნაწილში სააღდგომო კონგრესი, ან სწორედ რომ ვსთქვათ, ის საბუთები, რომლებიც იქ გამოაცხადეს, დიდი ყურადღებისა ღირსია. 1913 წელი საზოგადოდ ბელგიისთვის და უფრო-კი მისი მუშებისთვის არაჩვეულებრივი იყო, განსაკუთრებითი, და როგორც ამგვარი, იგი ალბად დიდხანს დარჩება ხსოვნაში. ეს იყო წელიწადი პოლიტიკური თანასწორობისთვის გამწვავებული ბრძოლისა, პოლიტიკური გენერალური გაფიცვისა.

ამ ბრძოლის შედეგი ყველამ იცის. საყოველთაო საარჩევნო უფლებას ბელგიის მუშებმა მაინც ვერ მიაღწიეს. მათ მხოლოდ რაღაც დაპირების მაგვარი მიიღეს. მთავრობამ დააწესა კომისია, რომელიც შეისწავლის ადგილობრივ დაწესებულებებში არჩევნების საკითხს; მთავრობამ აგრძნობინა, რომ მას საწინააღმდეგო არაფერი ექნება, თუ ეს კომისია ამავე დროს გამონახავს რამე უფრო სრულს ფორმულას საპარლამენტო არჩევნებისათვისაც.

როგორც ვხედავ, შედეგი საკმაოდ მკრთალია. არ შეიძლება მას გამარჯვება ვუწოდოთ. მაგრამ ზოგიერთები უფრო შორს მიდიოდნენ და სთვლიდნენ მას ბელგიელ სოციალისტთა დამარცხებად, და ამასთანავე, ძალიან სერიოზულ დამარცხებად. კათოლიკები ამტკიცებდნენ, საარჩევნო უფლების მოპოვებაში ეს დამარცხება სახიფათო იქნება, რადგანაც იგი გამოიწვევს სოციალისტთა პარტიის დასუსტებასა და დაშლას; რომ სოციალისტებს დაეკარგებათ რწმენა საქმის კარგად წაყვანისა, სულით დაეცემიან, და სხვ. ერთის სიტყვით, იმათის აზრით, ფიზიური და სულიერი დეზორგანიზაცია პარტიისა, რომელმაც გაბედა და იმისთანა საშუალებას მიმართა, როგორც საერთო გაფიცვა, აუცილებელი შედეგია მათი დამარცხებისა. თვით რომ გაემარჯვათ, მაშინაც კი ასე უნდა მომხდარიყო, და ეხლა ხომ იგი სრულიად განადგურდებაო.

მოხდა ნამდვილად ბელგიის მუშათა პარტიაში ამისთანა რამე? დასუსტებული ძალებით იწყებს იგი ახალ საარჩევნო ბრძოლას?

ახლად მომხდარი ბრიუსელში XXIX მორიგი კონგრესი ბელგიის პარტიისა გადაჭრილ პასუხს იძლევა: არაო. და აი მის დამამტკიცებელი საბუთებიც.

პარტიის იმ წევრთა რიცხვი, რომლებიც ხარჯს იხდიან გადიდდა 248,521-დგან 284,601-ამდე. ამისდაგვარად მისმა შემოსავალმაც იმატა. თუ 1912 წელს მისი შემოსავალი უდრიდა 25891 ფრანკს, საანგარიშო წელს 29088 ფრანკი იყო. შევავსოთ ეს საზოგადო ციფრები ზოგიერთი წვრილი ცნობებით. თავისი შემადგენლობით ბელგიის მუშათა პარტია წარმოადგენს რთულს ორგანიზმს, რომელიც შესდგება სინდიკატებისა, კოოპერატივებისა, ურთ-ერთ დამხმარე საზოგადოებათა, სხვა და სხვა გვარი წმინდა პოლიტიკური ორგანიზაციებისა და სხვათაგან. 1912 წლის დასასრულს სინდიკალურ კომისიაში, რომელიც შემაერთებელი ცენტრია სოციალისტებისა და ზოგიერთ სხვა ნეიტრალურ სინდიკატებისა, ითვლებოდა 116,082 წევრი; 1913 წლის დასასრულს კი ეს რიცხვი ავიდა 121,759-ამდე, ეხლა კი, როგორც ამ კონგრესზე გამოირკვა მათი რიცხვი 127000 ამდე ასულა. თავისს რიგზე კოოპერატივთა რიცხვმა იმატა 82352-დგან 92118-მდე, ხოლო კოოპერატივთა ფედერაციის ანგარიში ამავე დროს გაიზარდა ½ მილიონი ფრანკით და 11112094 ფრანკამდე ავიდა.

ურთ-ერთ დამხმარე საზოგადოებანი რომ ავიღოთ, აქაც იმასვე შევხვდებით: წევრთა რიცხვი 62903-დგან გაიზარდა 71916-ამდე.

მუშათა პარტია რომ მართლა დაემარცხებიანათ, ეს ყველაზედ უფრო უნდა განსაკუთრებით მის პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციებს დასტყობოდათ; მერე რასა ვხედავთ ჩვენ აქა? 1912 წლის დასასრულს ამ ორგანიზაციებს ჰყავდათ 13555 წევრი, ერთი წლის შემდეგ კი 15942.

ერთად-ერთი დარგი, სადაც კონგრესზე გამოქვეყნებულ ცნობებში წინსვლა არ ემჩნევა, ეს არის სოციალისტური პრესის გავრცელება. მათი უმთავრესი გაზეთის—„Peuple“—ისევ—70000 გადის დღეში. მეორე გაზეთი—„Yoorni“, რომელიც საგანგებოდ ფლამანდიელებისთვის იბეჭდება ცოტა შემცირდა: წარსულ წლის იანვარის ერთი კვირის განმავლობაში ეს გაზეთი გასულა 174,854 ცალი, ეხლა კი მხოლოდ 172276 ცალი,

საქმის ამგვარ მდგომარეობაში რასაკვირველია უადგილოა პარტიის დაშლასა და დემორალიზაციაზედ ლაპარაკი. თუმცა გენერალურმა გაფიცვამ სოციალისტებს ნამდვილი გამარჯვება არ მიანიჭა, მაგრამ ვერც დაშალა მათი რაზმები. ერთი თვის შემდეგ კი, როცა ბელგიაში 11 მაისს არჩევნები დაიწყება, დავინახავთ, როგორ შეჰხედავს წარსულ გამოცდილებას ჩვეულებრივი მოქალაქე.

მოწერილი ამბავი

დ. ლანჩხუთი. იშვიათად შეხვდებით ისეთ ოჯახს გურიაში, რომ წერა-კითხვის მცოდნე წევრი არ მოიპოვებოდეს. მაგრამ დღეს ცხოვრების მიმდინარეობა მოითხოვს მეტ ცოდნას, ვინემ იძლევა რომელიმე ორ-კლასიანი სასწ. და რადგანაც უფრო მაღალ ხარისხოვანი სასწავლებელი (თუ არ მივიღებთ მხედველობაში სამოქალაქო სასწ.) მთელ გურიაში არ მოიპოვება, ამისათვის ნივთიერად ხელმოკლე მშობელი იძულებულია სამუდამოდ გამოათხოვოს ბავშვი სწავლის გაგრძელებას. ამ მხრივ ოზურგეთში განზრახული „რეალური სასწავლებელი“ დახმარებას გაუწევს ხალხს. ქალები კი ისევ განზე რჩებიან. შარშან, ქ-ნ ფხაკაძემ ლანჩხუთში გახსნა მესამე ხარისხის ქალთა სასწ., რომელმაც მრავალ ბავშვს მოუყარა თავი. სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. ვიშნევსკიმ ეს სკოლა ოთხ-კლასიან სასწავლებლად გადააკეთა. —**ტი.**

რედაქტორი **ნ. ყურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1—2 ბ. **ფომინა-თხიპთელისა** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვა** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვის ქ., 10. ტელ, 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709).

9—11 **გ. თ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **გ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 56.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალოდ ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან.

ტფილისიდან გადის:

(დრო ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ბაქოსაკენ: **ნარევი** № 22,—4 ს. 58 წ. ნაშუადღ.; **სამგზავ.** № 12,—4 ს. 5 წ. დილ.; **სამგზავ.** № 8,—6 ს. 25 წ. სადამ.; **ჩქარი** № 6,—12 ს. 8 წ. შუადღ.; **საფოსტო** № 4, 10 ს.—20 წ. დილ.

ბათუმისაკენ: **ნარევ.** № 21—2 ს. 59 წ. შუადღ.; **სამგზავრო** № 9,—8 ს. 53 წ. სადამ.; **სამგზავ.** № 7,—2 ს. 18 წ. დღ.; **ჩქარი** № 5,—8 ს. 18 წ. სად.; **საფ.** № 3,—9 ს. 54 წ. დილით.

ბორჯომისაკენ: **სამგზავ.** № 17/18,—7 ს. 28 წ. დილ.; **სამგზავ.** № 19/20,—3 ს. 22 წ. დღით.

მცხეთისაკენ: **სააგარაკო** № 61,—8 ს. 23 წ. დილ.; **სააგარაკო** № 63,—1 ს. 40 წ. დღისი.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: **ნარ.** № 22,—3 ს. 55 წ. დღის.; **სამგზავ.** № 10,—9 ს. 51 წ. დილ.; **სამგზავრო** № 8,—5 ს. 53 წ. სად.; **ჩქარი** № 6,—11 ს. 8 წ. დღ.; **საფ.** № 4,—9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდან: **ნარევი** № 21,—1 ს. 19 წ. შუადღ.; **სამგზავ.** № 9,—10 ს. 5 წ. დილ.; **სამგზავ.** № 7,— 1 ს.42 წ. დღით, **ჩქარი** № 6,—7 ს. 41 წ. სადამ.; **საფ.** № 3,—9 ს. დილ.

ბორჯომიდან: **სამგზავ.** № 17/18,—10 ს., 28 წ. სად.; **სამგზავ.** N 19/20,—7 ს. 25 დილ.

მცხეთიდან: **საგ.** № 62,—12 ს. 18 წ. დღ.; **საგ.** № 63,—8 ს. 48 წ. სად.

ყველგან მოითხოვეთ
„ამაზმორინ“-ი,
უებარი საშუალება ფეხის და სხეულის სხვა ნაწილების ოფლისა
ა. ე. ისააკიანცისა.
ეს ფხვიერი ყოვლად უვნებელია.
საუკეთესო მოწონების გირითები გვაქვს.
ფასი 20 კ.
საწყობები: ძმ. ტერტეროვების სააფთიაქო საწყობი თ-დ ვორონცოვის ძეგლთან, ან ანტონოვის ქუჩა № 32, არამს. 219

უფასო სამკურნალო დახმარება

ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები

1—2 **გ. ა. ზედგინიძე** (სდგას ვერა-ზე, თელავის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **პ. ლ. კაკაბელიშვილი** (ავლაბარი, კახეთის ქ. № 2, ტელეფ. 15—27).

8—9 **ე. ა. მელიქ-შახნაზაროვი** (გრინინის ქ., № 23).

10, 11—12 **ი. გ. ტერ-ნიკოღოსოვი** (მიხეილის ქ., № 169, ტელ. № 985).

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ნ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ნ. გ. ბეგახარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ზ. ი. მ...ანსახოვი: 10—11 ს. სარძეო, ქალებისა და ბავშვებისა.
ბ. გ. ბენიამინოვი: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
მ. გ. ბეგლარიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი, აბაზაშვილ და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. გ. ტერ-დავიდოვისა:** 1—2 ს. სარძეო და ქალების ავადმყ.
საღამოთი:
მ. გ. ბეგლარიანცი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.
1071

Imsha
მიღებული აქვს მრავალი ჯილდო რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გამოფენაზე.
მთელს ქვეყანაზე საუკეთესო ამერიკული კოსმეტიკა
„იმშა მეტამორფოზა“
ძიძიბებისა და ჭორფლის წინააღმდეგ და პირის კანის სინორჩისათვის, კანს ანაზებს და ხინთრჩეს აძლევს.
მოითხოვეთ მხოლოდ პლომბიანი და წარწერით „jmcha“
იყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა და სააფთიაქო მაღაზიებში.
კრემი—1 მ. 70 და 50 კ., საპონი 50 და 30 კ. პუდრი 75, 40 და 15 კ.
მეტცლი 25381. 1152

გორში
იყიდება სახლი
მიწით 250 კვად. საჟ. სარწყავი ბაღით და სასმელი წყლით 3000 მან. პიროვ. შეტყობა შეიძლება ადგილობრივ დუკანოზ ტურიევთან. 243

მსოფლიოდ განთქმული
კრემი კაზიმისა
მეტამორფოზა,
ერთად-ერთი მთელი ქვეყნის ქალების მიერ მოწონებული.
უტყუარად არსებითად აქრობს ძიძიბებს, მზის ნამწვს, პირის ლაქას, ჭორფლს, სახის ნაოჭებს და პირისსახის სხვა ნაკლულევანებას.
By Royal Letters Patent.
1133 Метцль. 4412.

სორაპნის გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ თხზულებანი
გიუ-დე მოპასანისა
ტომი 1, ფასი 1 მანეთი.
სრული სამზარეულო
შედგენილი კნ. ბარბარე ჯორჯაძის მიერ. ფასი 1 მან., ყდით 1 მ. 40 მ.
მსურველს წიგნი ფასდადებითაც გაეგზავნება.
მისამართი: Тифлисъ, типографія Сорапанъ М. Гачечиладзе. 1161

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9
ტელეფონი № 712.

განყოფილება
ავლაბარში
ფოსტის განყოფილების ქვეშ, საკუთარ სახლში.
იყიდება
იმ[illegible] [illegible]არისხის
ქონდარი,
როგორც პუშკინის ქუჩაზე.
1081

ტფილისი, სტამბა „შრომა“, მუხრანის ქუჩა. ტელეფონი № 14—42.